

# საბჭოთა ქალი

იანვარი
1962 წ. № 1

645/2

მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო — საქართველოს ქალებო, და გულითადად გილოცავთ ახალ, 1962 წელს.

გასულ, 1961 წელს თქვენს მიერ მოპოვებული წარმატებებით სამართლიანად ამაყობს ჩვენი ხალხი. თქვენ მზრუნველად დასტრიალებდით თავს დაზგებსა და რთულ სამრეწველო მანქანებს, საძირკველს უყრიდით ახალ ინდუსტრიულ გიგანტებს, ამოგყავდათ საცხოვრებელი სახლების სართულები, მოიყვანეთ სიმინდისა და ხორბლის, ყურძნისა და ციტრუსების უხვი მოსავალი, თავს ევლებოდით ჩაის ბუჩქებს, ახალი მიღწევებით ამდიდრებდით საბჭოთა მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას.

ძვირფასო დებო! ახლა თქვენ დიდ საშვილიშვილო საქმეს შეეჭიდეთ— ხელი მოჰკიდეთ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას. ჭეშმარიტად, ღირსშესანიშნავია ჩვენთვის ახალი, 1962 წელი, პირველი წელი ოცწლეულით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელების გზაზე.

საქმისადმი თავდადება, ვაჟკაცური შემართება, დიდი ნებისყოფა და მტკიცე სული — აი რა თვისებები გამკობთ თქვენ, მაგრამ თქვენ ნაზი, მზრუნველი დედებიც ხართ იმ თაობისა, რომელიც იცხოვრებს კომუნიზმში, სამშობლოს უზრდით პატიოსან, სპეტაკ, გონიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდებს.

ბედნიერი ყოფილიყოს ეს და სხვა მრავალი ახალი წელი თქვენთვის, ჩვენო მეგობრებო!

ემრავლოს ჩვენს საერთო წარმატებებს! ემრავლოს თქვენს სიხარულს შრომასა და პირად ცხოვრებაში!

ჟ უ რ ნ ა ლ „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ქ ა ლ ი ს“ რედაქცია.

# მრავალ ახალ წელს, გილოცავთ!



**საახალწლო ნაძვის ხე კრემლში** ფოტო ა. სტანოვოვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფანტელები



მოთხრობა

სუსხიანი დღე ღამის მიჯნასთან მიილია.

ოდასახლის ფანჯარასთან მდგარ რკინის საწოლში ბაბუა ათანასე წევს.

თვალები ფართოდ გაუღია.

პირი მოუკუმავს.

იქნებ რამე სათქმელს მალავს, ან ნავლწაყრილ მოგონებებს ქექავს? სახე უფრო უნაოჭდება, საბნის ზემოთ ხელები დაფათურობენ.

თებრონიას ხელებს თუ ეძებენ, იქნებ ცხოვრების მოზიარემ უშველოს, წამოაყენოს.

თებრონია პირჯვარს იწერს და ჩიფჩიფებს:

— ღმერთო, შენ გადაგვარჩინე, ღმერთო!

ბინდბუნდს ფეხაკრეფით ადევნებული ყინვა ოდაში ვერსაიდან შემოძვრა, მაგრამ ათანასეს ხელფეხი თბილ ლოგინში მაინც რიყის ქვებივით აწყვია.

თებრონია მალიმალ გადის მეორე ოთახში, მერე ბრუნდება და ფერხთით მიუჯდება მოხუცს.

ათანასემ ხელები აბორიალა და ძლივს წააწყდა თებრონიას ხელს. დალეულ თითებში მოიმწყვდია.

სახეზე ძარღვები შეუტოკდა. რაღაც გაეხარდა.

მოხშირებული კვნესა, კარების ჭრიალი. ფრთხილი ნაბიჯები შუა კედლის კართან.

თებრონია დააჩერდა ათანასეს.

ქმრის თვალები ბეუტავდნენ.

— ღმერთო, შენი დიდების ჭირიმე, ღმერთო! — ისევ იწერს პირჯვარს თებრონია, თან რაღაც ახარებს. იცის თებრონიამ, როგორ არ იცის, რაც მის ბებერს უხარია. აჰა, ერთი საუკუნეა ელოდება, ელოდება...

ერთი საუკუნე? ათანასე ასი წლის იქნება?

დიდი ამბავი ერთი საუკუნე!

ჰმ?! იმიტომ ხომ არ იციან ადამიანებმა დალოცვა — ას წელიწადს გასძელიო? მერე და, რა არის ასი წელიწადი? ერთი სულის შებერვა და ჰეი! ახლა ათანასე ისე ჩალეულა ლოგინში, ძლივსღა მოჩანს, მისი მიმქრალი ხმა თებრონიასაც ძლივს ესმის.

— ჰა, რას ამბობ, რას? — ჩაჰკითხავს ხოლმე.

კედლის იქით მოძალდა კვნესა და იმედიანი ნუგეში.

ბუხარში შეყუდებული ხმელი ჯირკი ვარდისფერ ნატეხებად იშლება.

კედლის საათი მიაბიჯებს.

არც ჩქარობს, არც აგვიანებს!

ოთახში ექიმი შემოვიდა.

— უი, გენაცვალოს ბებია, ჩემო რუსიკო! — მიაძახა თებრონიამ.

ათანასემ უღიმღამოდ გაიღიმა.

— უხარია ჩემი მოსვლა, ჰგონია მისთვის უკვდავება მომაქვს. — ფიქრობს რუსიკო.

ადრე არ უხაროდა ათანასეს მისი უფროსი შვილიშვილის დანახვა:

ოჯახის საძირკველი ბიჭი რომ იყოს მაშინ სხვა არისო.

მაგრამ, ვერ იქნა და მის ოჯახში ზედიზედ ორ საძირკველს ერთად ვერ მოუყარა თავი.

...ცხრაასხუთიან წლებში, „ბუნტოვჩიკობისათვის“ რომ დააპატიმრეს, თებრონიას ორი გოგო და ერთი ბიჭი დაუტოვა. ცხრაას ჩვიდმეტში შინ დაბრუნებულს, მაინცდამაინც ბიჭი არ დახვდა ცოცხალი. დათალხული, ფეხმძიმე რძალი შეეგება. ჰოი, რა მწარე იყო!

თებრონიას ორივე გოგო დაეთხოვებინა ადრიანად. უფროსმა „ბალიშა“ რუსიკოც კი დაახვედრა, მაგრამ...

— აბა, რა ოჯახის ბურჯია გოგოო. — კვნესოდა ათანასე.

უმცროსსაც პირველი გოგო გაუჩნდა. გოგო და გოგო.

— მოდექით, ამრავლეთ, ამრავლეთ გომბიოები! — ღმუოდა გულში ათანასე, მაგრამ ადრიანად დაქვრივებულ რძალს ვაჟი ეყოლა, ვაჟი, ათანასეს იმედი და სიხარული.

ამით გახარებული ათანასე გაჯეელდა. მისი შვილიშვილი ირაკლი არავის ჩამოუვარდებოდა, ჯერ ბავშვობაში, მერე ჭაბუკობაში.

—რა გიკვირთ, ათანასეს შვილიშვილიაო! — ამბობდნენ.

— ოცი წლის შეიქნება თუ არა, ცოლს მოვგვრი, იქნებ ბადიშისშვილებით ამევსოს სახლკარი! — ოცნებობდა ათანასე.

ერთი რამ აფორიაქებდა მოხუცს, მაგრამ არ ამხელდა.

ამდენ ნაწამებ-ნაჯახირევს საოცრად უნდოდა სიცოცხლე, რაღაც აწუხებდა, მაგრამ მისი თებრონიაც ვერ მიმხვდარიყო.

— რა გინდა კაცო, რას ფორიაქობ?

* * *

ირაკლიმ საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა, ჯარში გასაწვევი ჭაბუკი სასწრაფოდ დააქორწილეს.

სამად სამი თვე იყო ცოლთან.

ჯარში ვაჟიშვილის შეძენა რომ შეატყობინეს, ბორისი დაარქვითო, შემოთვალა.

ათანასეს ეს გულზე ეკლად მოხვდა, მაგრამ დაუთმო შვილიშვილს, ბორისი დაარქვა.

— მეორეს ხომ ვეღარავინ წამართმევს? — გაიფიქრა.

ირაკლი შინ უნდა დაბრუნებულიყო. მერე და რა სულმოსწრაფებით მოიჩქაროდა ოჯახისა და უფრო ბორისის სანახავად, მაგრამ...

გერმანული ყუმბარების გრიალმა ჩააშხამა სიხარული. ირაკლის აღარ ეღირსა შინ დაბრუნება და ბორისის ნახვა, ათანასეს კი მეორე ბადიშვილი და სურვილის ასრულება.

ბორისმა ვიდრე სამხედრო ვალდებულება არ მოიხადა, ცოლი არ მოიყვანა. მერეც უარობდა, ჯერ უმაღლესი უნდა დავამთავროო, მაგრამ ათანასე, თებრონია და დედამისი, აბა რას მოეშვებოდნენ!

და, აი, ახლა რუსიკოს შემოსვლამ გაახარა მოხუცი. აღარა სწუნობს მის გოგოობას, ალბათ, იმიტომ, რომ ის ექიმია, ხოლო მოხუცისათვის ექიმები სასწაულმომქმედნი არიან.

ხელში ხელი წაავლო რუსიკოს, თავთით დაიჯინა, სულ ახლოს. მიმქრალი თვალებით შეევედრა, შეემუდარა რაღაცას.

მაგრამ საათის ისრები, აბა, რას მოგიცდიან, როდი დააგვიანებენ.

კედლის გადაღმიდან თავშეკავებული კვნესა-კივილი ბურღივით ხვრეტდა ოდის კედლებს.

მოხუცს ფერი ეცვალა. თებრონია აბორიალდა. რუსიკო მიხვდა, მოხუცს ნემსი გაუკეთა, რათა სიკვდილს ცოტახანს მოეცადა.

— ბაბუა ათანასე, აბა, რას მეხვეწები? ოღონდ ბიჭი იქნეს და...

ვაჟი უნდა ათანასეს, ვაჟი, ოჯახის ფუძე, რომ მისი სახელი... მისი უკანასკნელი სურვილი...

საათის ისრები კი მიჩოჩავენ, არც ჩქარა, არც ნელა.

— წისქვილის სათავეს წყალი თუ გაეპარა, უკეთესია სხვა სათავე მიუკვალო, — ეუბნებოდა გუშინწინ ათანასე რუსიკოს, — დრომ მიწია ბაბუა და შენ ვეღარ გამამთელებ, გავათავე ჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი წუთისოფელი... — აზრსა და სიტყვას წყვეტდა მოხუცი.

— შენ გგონია მინდა სიცოცხლე? მარა ცოტა ხანს მაინც მაცოცხლე, სულ ცოტა ხანს. ჩემისთანა ნატანჯ-ნაუბედურებისათვის პატარა სიხარული, ჰოი, რამხელა ბედნიერება იქნება, ისე როგორც ბედნიერებისათვის პატარა წყენა დიდი უბედურებაა. ჰოდა, მიმატანინე ეს მიმქრალი სული იქამდე... იქამდე... იქნებ ჩემი ოჯახის ფუძის მომაგრებას მოვესწრო. ორი კაცი ერთად ვნახო ჩემს ოჯახში და იქნებ ჩემი... ჩემი სახელი... — წაიჩურჩულა ათანასემ ვედრებით.

— საოცარია, — ფიქრობდა რუსიკო, — სიცოცხლე აღარ უწერია და რაღაცის მოლოდინი მაინც ახარებს.

მოხუცს გუგები გაუფართოვდა.

რუსიკო მაჯას მისწვდა.

კედლის საათის დიდი ისარი პატარა ისარს ეპოტინება, არც ჩქარა, არც ნელა, თავისი რიგით.

ათანასეს თვალები გამოუშტერდა. ბრძოლაში თითდაკლებული ხელი აამორიალა. სახის ნაკვთები აუთამაშდა ტანჯვით, წამებით, სიხარულით, სიძულვილით, მუქარით, ვედრებით. იბრძვის, ბორგავს, შფოთავს, ეძებს, თავგამეტებით ეძებს. თითებს ათამაშებს, რაღაცის ჩაბღუჯვას ლამობს... მაგრამ... ხელი უვარდება.

კედლის იქიდან თავშეუკავებელი კივილი ვეება კედლებში აღარ დაეტია.

ხმაური ათანასეს ყურსაც მისწვდა.

სიხარული და იდუმალი ნათელი ერთდროულად წამოეფინა მიმქკნარ სახეს.

მოხუცის სარეცელზე ძალაშემომდნარი ხმით, ფუჩუნით, უხმოდ, უშფოთველად ნებდებოდა სიცოცხლე სიკვდილს.

ფუყე ლაწანი მოადინა ეზოში რაღაცამ.

რუსიკომ ფანჯარაში გაიხედა, ვერაფერი შეამჩნია. მომაკვდავის გამახვილებულ სმენას კი მისწვდა, მისწვდა და...

ემწუხრა, ძალიან ემწუხრა ზარალი. ნუთუ კიდევ რაიმე ედარდება?

ერთი აწყვეტილი კივილიც და... სიხარულით აჩიფჩიფებული თებრონია საწოლს მიუახლოვდა.

— ბიჭია, ბიჭი! პატარა ათანასე დაიბადა! — ზედ ყურთან დაადო ტუჩი თებრონიამ. მომაკვდავს გაფართოებული თვალების კილოებიდან ნოტიო გამოეჟონა, ორივე ხელი ასწია. თებრონიამ და რუსიკომ წამოსწიეს მოხუცი. სურვილი ალმურსავით მოედო, სურვილი უკმარი, დაუმცხრალი, ამოუვსები, უძლები სურვილი.

მაგრამ რიღასი?

— დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი! უგანგებოდ არ არის მოწყობილი ქვეყანა! — სლუკუნებს სიხარულით და სინანულით თებრონია.



ეხატავს ლ. შენგელია

— რა გულგახელებული სთხოვდა ბუნებას, ღმერთს, კაცს, ცხოვრებას, ბედს, სულ მცირედს, სულ მცირედს თავისი სიცოცხლის კვალობაზე დასატოვებლად... სულ უბრალოს, რომლითაც არც კაცს და არც ღმერთს არაფერი მოაკლდებოდა და, აჰა, მიიღო კიდეც.

ათანასე კი სიკვდილშემოსალტული სარეცლიდან ადგომას ისწრაფვოდა, ისწრაფვოდა... მაგრამ სად?..

პატარა ბიჭის ნახვა თუ ეწადა... მერე?... მერე მისი ხმის გაგონება... მერე? ბარემ ფეხის ადგმაც... წვერებზე მისი თითების ცაცუნი, ტიტინი... წიგნი ხელში... ჭაბუკობა... ქორწილი... სწადია, სწადია, სწადია მაგრამ...

ერთი ამოსუნთქვა და გათავდა.

— აღარ ვნაღვლობ, დაიბადა შენი მაგიერი! — ბუტბუტებს თებრონია. მოხუცის სახეზე კი ასვენია შიში, მწუხარება, სიხარული, მწარე ღიმილი, იმედი და კიდევ რაღაც...

საათის ისრები გატოლდნენ. საკვამურიდან ჩამოვარდნილმა ქარმა კალენდრის ფურცელი მოხია და მსუბუქად ააფრიალა.

* * *

... და მაინც ლილისფერ ალიონს რძისფერი დილა წამოეწია, ბედნიერების, სიხარულის, სიყვარულის, რწმენის, იმედისა და მისწრაფების ფანტელებით სავსე ახალი წლის დიდებული დილა.

თვალის დასატკბობად და გულის გასახარად დედის ტკბილ მკერდს ხარბად დასწაფებია პატარა ათანასე.

ვითომც არა შეცვლილა რა. მხოლოდ საათის პირდაპირ კედელზე ჰკიდია სავსე კალენდარი. ბაღში გადატეხილი ბებერი მსხლის გვერდით ახალ ნამყენს ყლორტები მაღლა აუშვერია და გახარებულ-დახარბებული ყველა ფანტელის დაჭერას ლამობს.

... კედლის საათის ისრები განაგრძობენ წუთებისა და წამების თვლას, არც ჩქარა, არც ნელა — თავისი რიგით.

**თინათინ გეჟაძე,**

დიასახლისი, ამბროლაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „პრემიერ გრანდ პრიზ"

საოცარია პარიზი განთიადისას. მზე თითქოს სადღაც ქვევიდან ეპარება ქალაქს და ოქროსფერ ბურუსში ხვევს ეკლესიების გუმბათებს, გასაოცრად ნაგებ შენობებს, ეიფელის კოშკს...

ოტელის ფანჯრიდან მოჯადოებული გასცქერის ის პარიზის გაღვიძებას. მერე სწრაფად იცვამს და გარეთ გამოდის.

მზე მძლავრობს და ელისეის მინდვრებში ილვრება ათასფერად. ტრიუმფალურ თაღთან დიდხანს ჩერდება და ისევ ბრუნდება უკან — ელისეის მინდვრებით ოტელისაკენ. ჯერ ძინავს პარიზს, მაგრამ იგრძნობა — საცაა გაიღვიძებს და ახმაურდება. ნელ-ნელა დაიძრებიან პრიალა შავი, წითელი, ცისფერი, თეთრი ავტომანქანები. ხალხი მოეფინება ქუჩებს. ფართოდ გაიღება ქუჩისპირა კაფეების, მაღაზიების, მოდების ატელიების კარები... გაზეთის გამყიდველი პატარა ბიჭუნა გამოჩნდება ქუჩის კუთხეში და წკრიალა ხმით გასძახებს პარიზს:

— პრემიერ გრანდ პრიზ!* მარინა გოგლიძე-მდივანი!

და სასტუმროს კარამდე თითქოს ფეხდაფეხ მისდევენ გაზეთის გამყიდველები, ახლა უკვე სხვები, სხვადასხვანაირი ხმით, რაღაც უცნაურად წარმოსთქვამენ მის სახელს:

— მარინა გოგლიძე-მდივანი! პირველი საბჭოთა პიანისტი — მარგარიტა ლონგის საერთაშორისო კონკურსის პირველი დიდი პრიზის მფლობელი!

— მარინა გოგლიძე-მდივანი! პირველი დიდი პრიზი!

— მოვლენა — მარინა მდივანი!

რატომღაც მაინც იმ პატარა ბიჭუნას წკრიალა ხმა აეკვიატა ოტელში შესულს. „ის ბიჭუნა ახლა სკოლაში უნდა იყოს..." — ფიქრობს და ახსენდება ისინი, ვინც იქ დატოვა, ათასი კილომეტრების იქით, თბილისში — მეუღლე, დედა, მამა, ძმა... ისინი ღელავენ. მათ არაფერი იციან და მარინა სწრაფად იღებს ყურმილს...

...ამ ტელეფონის ზარს ელოდნენ. ელოდნენ მთელი ღამე და აი, აწკრიალდა იგი გაბმულად, ჯიუტად. ამ ზარს ელოდნენ და მაინც ხელის კანკალით აიღეს ყურმილი. ხაზზე იყო პარიზი... ხუთიოდე წუთში ძნელი იყო ყველაფრის თქმა. ძნელი და შეუძლებელიც. ვიქტორ და თამარ გოგლიძეები მერე დიდხანს იდგნენ ტელეფონთან და დუმდნენ.

**ხუთ წუთში შეუძლებელი იყო ყველაფრის თქმა...**

**...გუშინ, მესამე ტურის დამთავრების შემდეგ, იგი იდგა კულისებში** სხვა ლაურეატებთან ერთად და ელოდა. თათბირის შემდეგ გრძელ მაგიდას მიუსხდნენ ჟიურის წევრები: მსოფლიოში სახელგანთქმული ფრანგი პიანისტი, დებიუსისა და რაველის მეგობარი, 87 წლის მარგარიტა ლონგი, გამოჩენილი ფრანგი კომპოზიტორი ჟორჟ ორიკი, კომპოზიტორი ალექსანდრე ჩერეპნინი (მისი მამა ოდესღაც თბილისის კონსერვატორიის დირექტორი იყო), ბელგიელი კომპოზიტორი იონგენი, გამოჩენილი ფრანგი პედაგოგი ნადია ბულანჟე, ემილ გილელსი...

კულისებში კი „განაჩენს" ელოდნენ — ფრანგი ჟან კლოდ პენეტიე, არგენტინელი ბრუნო გელბერი, ფრანგი კატრინ სილი, ამერიკელი რალფ ვოტაპეკი, უნგრელი საბო, საბჭოთა მუსიკოსები — ალისა მიშჩენკო და ადრიან ეგოროვი. ელოდა მარინა გოგლიძე-მდივანიც. მან იცოდა — პირველი, ვისაც ამოიკითხავდა მარგარიტა ლონგი, იქნებოდა პირველი დიდი პრიზის მფლობელი, კონკურსის ლაურეატი.

ეს იყო წუთი დაუვიწყარი, წუთი, რომელიც არასოდეს განმეორდება.

მარინამ გაიგონა თავისი გვარი და უცებ...

რა მოხდა მერე... როგორ გადასცეს სიგელი, როგორ ავარდა დარბაზში ტაშის გრიალი, როგორ ეხვეოდნენ მეგობრები კულისებში და ულოცავდნენ — ძნელია მოიგონო ყველაფერი ეს აუღელვებლად ახლაც — ექვსი თვის შემდეგ...

ტაშის გრიალში გადასცეს მეორე დიდი პრიზი ფრანგ ჟან პენეტიეს...

მესამე ადგილი — ბრუნო გელბერი...

მეოთხე — კატრინ სილი...

მეხუთე — ალისა მიშჩენკო...

რალფ ვოტაპეკი... ადრიან ეგოროვი... საბო...

და ისევ გაისმა დარბაზში ხმაშეწყობილად:

— მა-რი-ნა მდი-ვა-ნი!..

— მა-რი-ნა! მა-რი-ნა!..

სიხარულისა და სიამაყის ნაპერწკალი ვერ იმალებოდა ყოველთვის ხავშეკავებული ემილ გილელსის თვალებში. და როცა ბოლოს, ფოიეში მასთან მორიდებით მივიდა მისი მოწაფე, მივიდა და ჰკითხა:

— ემილ გრიგორიევიჩ... თქვენ... თქვენ კმაყოფილი ხართ?

— ძალიან! — თქვა გილელსმა. მარინამ სამი წლის განმავლობაში პირველად გაიგონა თავისი პროფესორისაგან ასეთი დიდი შეფასება.

მარტო მათ იცოდნენ რა იყო ამ კონკურსისათვის მზადების უკვე უკან დარჩენილი წელი. ემილ გილელსის თვალწინ გაიზარდა მარინა შემოქმედებითად: დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე გილელსი ხედავდა, როგორ ძლიერდებოდა, იხვეწებოდა მისი სა-

*) პირველი დიდი პრიზი.

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მატჩი ის ის იყო დამთავრდა. ხალხი წამოიშალა და გასასვლელისაკენ გაემართა. მეც წამოსვლა დავაპირე, მაგრამ ამ დროს ნაცნობი ქალიშვილი გამომეხმაურა. მისი იქ ნახვა, როგორც ფეხბურთის გულშემატკივრისა, არ გამკვირვებია. მან შეაქო თბილისელთა მაღალტექნიკური თამაში და დასძინა: ცოტა სიმტკიცე და შეუპოვრობა აკლიათო. იგი მეორე დღეს საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებოდა, ამიტომ წარმატება ვუსურვე და დავშორდი. ეს ქალიშვილი იყო ჩვენი საამაყო მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი.

სიმტკიცე და შეუპოვრობა ის თვისებებია, რომლებიც ნონას „ზომაზე მეტად“ აქვს. მაგრამ მათ ხომ ერთბაშად ვერ შეიძენ! — საჭიროა ამ თვისებების გამომუშავება. ის, ვისაც სიმტკიცე და შეუპოვრობა აკლია, ტყუილად ნუ შეეცდება ისეთი ხელოვნების ათვისებას, როგორიც ჭადრაკია. ჭადრაკი კი, უპირველეს ყოვლისა, დაუღალავ შრომას მოითხოვს, ფრანგული ანდაზა ამბობს: „ყოველგვარი შრომა უნდა ანაზღაურდესო“. ჰოდა, ვისაც სიმტკიცისა და შეუპოვრობის გარდა დიდი საჭადრაკო ნიჭიც აქვს, მას ეს შრომა ასმაგად აუნაზღაურდება!

ნონა გაფრინდაშვილს ჯერ 21 წელიც არ შესრულებია, მაგრამ იგი უკვე „ხანდაზმული“ მოჭადრაკეა. ხუმრობა ხომ არ არის, რომ მისი, როგორც მოჭადრაკის, „სტაჟი“ 15 წელია! საერთოდ ქართველ ქალს ყოველთვის უყვარდა ჭადრაკი. ყველასათვის ცნობილია, რომ მას გათხოვების დროს „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ჭადრაკსაც ატანდნენ. ასევე გატაცებით უყვართ ჭადრაკი ნონას დედასა და დეიდას. ნონას მამა, ზუგდიდელი პედაგოგი ტერენტი გაფრინდაშვილი და მისი ვაჟები ამ უძველესი და ულამაზესი თამაშის დიდი მოტრფიალენი არიან.

...საოჯახო ტურნირებში ჯერ ნონა არ მონაწილეობდა — იგი მხოლოდ 5 წლის იყო. თანდათანობით მან მაყურებლიდან მოთამაშის როლში გადაინაცვლა. ასე დაიწყო მსოფლიო ჩემპიონების მომავალი პრეტენდენტის სპორტული გზა.

იყო დრო, როდესაც მოჭადრაკე ქალებს ალმაცერად უყურებდნენ, არ სწამდათ მათი თამაში. 1929 წელს კარლსბადის დიდ საერთაშორისო ტურნირში მსოფლიო ჩემპიონის ვერა მენჩიკის მიწვევამ ნამდვილი აურზაური გამოიწვია. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ქალი ეჯიბრებოდა ცნობილ გროსმაისტერებსა და ოსტატებს. ცნობილმა ავსტრიელმა ოსტატმა ბეკერმა ტურნირის მონაწილეებს ხუმრობით წინადადებით მიმართა — დაეარსებინათ „მენჩიკის სახელობის კლუბი“ და მასში ის მოჭადრაკეები შეეყვანათ, რომლებიც ქალებთან დამარცხდებოდნენ. აი ბედის დაცინვა! ყველაზე ადრე ბეკერმა წააგო ქალთან და „მენჩიკის სახელობის კლუბის“ წევრი გახდა. მალე ამ „კლუბის“ წევრები გახდნენ გროსმაისტერები ზემიში, მიზესი და თვით მსოფლიო ჩემპიონის მაშინდელი პრეტენდენტი ეივეც.

გაფრინდაშვილი, რომელსაც სამართლიანად ადარებენ მსოფლიოს პირველ ჩემპიონს ქალთა შორის, სწორედ ვაჟებთან თამაშში დახელოვნდა, მისი უფროსი ძმა ემზარი ძლიერი, პირველთანრიგოსანი მოჭადრაკეა. მას თბილისის ჩემპიონატებშიც კი მიუღია მონაწილეობა. პირველ ხანებში ემზარს, რა თქმა უნდა, შეეძლო ბევრი რამ ესწავლებინა თავისი დისთვის, მაგრამ მალე ნონამ ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ მისთვის პირველხარისხოვანი მწრთვნელი გახდა საჭირო. აქ უნდა ითქვას, რომ ჯერ საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვახტანგ ქარსელაძემ, ხოლო შემდეგ ოსტატმა მიხეილ შიშოვმა ნონას დიდი და უანგარო დახმარება გაუწიეს. ვახტანგ ქარსელაძეს არა ერთხელ უთქვამს, რომ მისი მოწაფე მეტად დიდ დროს ანდომებს საჭადრაკო ხელოვნების ათვისებას, ამჟღავნებს თავდადებასა და გატაცებასო. ჭადრაკს „არ უყვარს“, როდესაც მას „სხვათაშორის“ თამაშობენ. უბადლო ნიჭით დაჯილდოვებული კუბელი გროსმაისტერი ხოზე რაულ კაპაბლანკა სწორედ ამიტომ გამოეთხოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდებას. და განა საქართველოში ცოტა იყო შემთხვევები, როდესაც დიდი მონაცემებით დაჯილდოებული ახალგაზრდები ვერ იჩენდნენ სათანადო შეუპოვრობას და იძულებული ხდებოდნენ ჭადრაკისთვის თავი დაენებებინათ!

მოჭადრაკეს მაშინ იცნობ ყველაზე უკეთესად, როდესაც მასთან პირველად თამაშობ. 1956 წელს, როდესაც ნონამ უკვე მოიპოვა პირველი დიდი წარმატებები (გახდა თბილისისა და საქართველოს ჩემპიონი, გაიმარჯვა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში), მასთან საწრთვნელი თამაში მომიხდა. შავებით ავირჩიე ფრანგული დაცვა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ოსტატების წინააღმდეგ მაქვს გამოცდილი. 15 წლის გოგონა, რომელიც მაშინ ამ დებიუტის „საიდუმლოებებს“ არ იცნობდა, რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ, როგორი იყო ჩემი გაოცება, როდესაც მან ხარისხის შეწირვით შეძლო მდგომარეობის გამწვავება და უკვე შავებს მოუხდათ ეზრუნათ ყაიმზე. მაშინ ნონა თამაშობდა არაჩვეულებრივი გაბედულობით. იგი არ ერიდებოდა მატერიალურ მსხვერპლს, ოღონდ მეტოქისათვის იერიშის საშუალება არ მიეცა. ყველაზე ძალიან ნონას უყვარს, როდესაც იგი თვით აწარმოებს იერიშს. მაშინ მას იშვიათი ხელოვნებით შეუძლია ზუსტი სვლების „გამოცნობა“, უძნელესი გაგრძელებების „მონახვა“. ამიტომაა, რომ სწორედ ნონას ენიჭება ჯილდოები ლამაზი თამაშისათვის, რაც საკავშირო და რესპუბლიკურ ტურნირებში წესდება.

„გაფრინდაშვილის სახელობის კლუბი!“

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თანდათანობით ამ „კლუბში“ მრავალი ცნობილი მოჭადრაკე ვაჟი შევა. მაგონდება 1959 წელი, როდესაც ნონამ წრთვნის მიზნით მონაწილეობა მიიღო საქართველოს ჩემპიონატში ვაჟთა შორის, მაშინ 18 წლის გოგონამ მოუგო საქართველოს არაერთგზის ჩემპიონს ა. ბლაგიძეს და ოსტატობის კანდიდატს ი. ვეტოხინს. მოხარული დავრჩი, როდესაც 8 ჩვენი შეხვედრა „ტრადიციული“ ყაიმით დასრულდა, ასეთივე შედეგს დასჯერდნენ საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკე ბ. გურგენიძე, ოსტატი ა. ბუსლაევი და ნონას მასწავლებელი მ. შიშოვი, ხოლო ოსტატობის კანდიდატს თ. გიორგაძეს სამი ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ დაფაზე ისეთი ამბები დატრიალდა, რომ გიორგაძეს მოუხდა ეზრუნა „გადარჩენაზე“. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის უძლიერეს მოჭადრაკეებთან ურთიერთობით ნონამ ბევრი სარგებლობა მიიღო, დაიხვეწა მისი თამაშის სტილი, გაფართოვდა სადებიუტო რეპერტუარი. პარტიის დამთავრების შემდეგ, იგი, როგორც წესი, შეუდგებოდა ხოლმე მის გარჩევას პარტნიორთან. სწორედ ასეთი გარჩევის დროსააშკარავებ დაშვებულ შეცდომებს და ეძებ მისი გამოსწორების გზებს.

ნონა გაფრინდაშვილს იტაცებს წიგნები. იგი მხატვრული ლიტერატურის მოყვარულია, დადის თეატრებში, მაგრამ ჭადრაკი... ჭადრაკი ყველაზე მეტად უყვარს. ხშირად ლაპარაკობს წარსულისა და თანამედროვეობის უდიდეს მოჭადრაკეებზე. არაერთხელ უთქვამს, რომ მისი საჭადრაკო იდეალი მიხეილ ტალია. ეს შემთხვევითი არაა. ამ ორ მოჭადრაკეს ბევრი რამ აქვს საერთო. ნონასაც მიხეილ ტალივით უყვარს ჭადრაკის დაფაზე „ცეცხლის დანთება“, როდესაც ვერაფერს გიშველის წინასწარი სადებიუტო მომზადება და ყველაფერს გონებამახვილობა წყვეტს. უნდა ითქვას, რომ თვით ტალიც ნონას დიდი გულშემატკივარია. სადაც არ უნდა შეხვდეს ქართველ მოჭადრაკეებს, ყველგან ნონას ამბავს ეკითხება. ლაიპციგში ყოფნისას შემთხვევით წავაწყდი მაშინდელ მსოფლიო ჩემპიონს ცნობილ „აუერბახის სარდაფში“. ამ სარდაფში, სადაც ყოფნა უყვარდა გოეთეს, ყოველთვის უამარავი უცხოელი ტურისტია. ტალი მეკითხებოდა საქართველოზე, ბუხუტი გურგენიძეზე და, რაც მთავარია, ნონა გაფრინდაშვილზე. ამიტომაც მიხეილ ტალმა პირველმა მიულოცა ნონას მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტობა და თანაც დასძინა, რომ შეეცდება მიჰბაძოს მის მაგალითს!

ნონა არაჩვეულებრივად თავმდაბალი და გულკეთილი ქალიშვილია. იგი ზრუნავს თავის უმცროს ამხანაგებზე, უხარია მათი წარმატება. როდესაც ყველასათვის უცნობმა თელაველმა მოსწავლემ თამარ ხუგაშვილმა ჭადრაკის თამაშის საოცარი უნარი გამოამჟღავნა, ნონამ მას დახმარების ხელი გაუწოდა და დაუმეგობრდა. ახლა ნონა და თამარი თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობენ.

მსოფლიო ჩემპიონობაზე ყველა მოჭადრაკეს უოცნებია, მაგრამ „ვარსკვლავებამდე ვიწრო გზები მიდისო“, იტყოდნენ ხოლმე ძველი რომაელები. მსოფლიო ჩემპიონის „ტახტამდე“ რომ მიაღწიო, რთული გზა

უნდა განვლო. ნონას ჯერ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება უნდა მოეპოვებინა, იქ კი აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო პირველ ოთხეულში, რათა პრეტენდენტთა ტურნირში გასულიყო. და აი, ქართველი გოგონა მისთვის დამახასიათებელი შეუპოვრობით შეუდგა ამ სიძნელეების გადალახვას.



თუ კი ომამდე ვერა მენჩიკი იოლად ამარცხებდა მსოფლიო ჩემპიონობის ყველა პრეტენდენტს და პირველობას არავის უთმობდა, ახლა მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. ქალთა შორის ჭადრაკი მეტად პოპულარული გახდა და მრავალი ნიჭიერი ოსტატიც დაწინაურდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მენჩიკის შემდეგ უძლიერესი მოჭადრაკე ქალი სონია გრაფი, რომელსაც არა ერთხელ უთამაშია მასთან მსოფლიო პირველობაზე, 1955 წელს მოსკოვს ეწვია და აქ პრეტენდენტთა ტურნირში მხოლოდ 10-18 ადგილზე აღმოჩნდა! ასე გაიზარდა ოსტატ ქალთა თამაშის კლასი მთელ მსოფლიოში! ამიტომ ახლანდელი ტურნირები ქალთა შორის ბევრად უფრო ძლიერი შემადგენლობით ტარდება, ხოლო მათში პირველი ადგილის დასაკავებლად ნამდვილი ოსტატობაა საჭირო. ეს სისტემატურ წრთვნასა და მეცადინეობას მოითხოვს.

მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე რომ გახდე, საბჭოთა მოჭადრაკეებს უნდა მოუგო. ომის შემდგომ წლებში სწორედ საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეები გახდნენ უძლიერესნი მსოფლიოში. მსოფლიო ჩემპიონობას ჯერ ლიუდმილა რუდენკო დაეუფლა, შემდეგ კი ოლღა რუბცოვა და ელისაბედ ბიკოვა. მათი უახლოესი მეტოქეებიც საბჭოთა ოსტატი ქალები იყვნენ. ამიტომ ნონასათვის მსოფლიო პირველობაზე ბრძოლის „გენერალურ რეპეტიციას" საკავშირო ჩემპიონატი წარმოადგენდა. საკავშირო ჩემპიონატები დიდი ხანია საერთაშორისო მნიშვნელობის შეჯიბრებებად იქცნენ. აქ წარმატებით თამაში იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო აღიარება დაიმსახურო. ეს, მით უმეტეს, ძნელი იყო 1960 წელს, როდესაც საკავშირო ჩემპიონატს მსოფლიო პირველობის მორიგი პრეტენდენტების ტურნირის მონაწილეები უნდა გამოერკვია. ვალენტინა ბორისენკო, ტატიანა ზატულოვსკაია, ლარისა ვოლპერტი და ნონა გაფრინდაშვილი — აი, იმ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გვარები. მათ კირა ზვორიკინაც შეუერთდა, როგორც პრეტენდენტთა წინა ტურნირში გამარჯვებული.

პრეტენდენტთა ტურნირზე უკვე მთელი ტომები დაიწერა და ამიტომ ჩვენ მას არ გამოვუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ნონას გამარჯვება სავსებით დამსახურებული იყო და მასში ეჭვი არავის შეუტანია. პრეტენდენტთა წინა ტურნირებისაგან განსხვავებით, სადაც ლიდერობა ხელიდან ხელში გადადიოდა და გამარჯვებული მხოლოდ უკანასკნელ მომენტში ირკვეოდა, სერიოზული მეტოქე ნონას ფაქტიურად არ ჰყოლია. განა ბევრს არ ნიშნავს ის, რომ შეჯიბრების დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე მისმა „მდევრებმა" დაიწყეს დავა, თუ ვის უნდა დარჩენოდა მეორე ადგილი? სასიამოვნოა კიდევ ერთი გარემოებაც: ნონამ არამარტო მიაღწია უდიდეს სპორტულ გამარჯვებას თავის ხანმოკლე, მაგრამ ფათერაკებით სავსე საჭადრაკო პრაქტიკაში, არამედ გვიჩვენა ნამდვილი შემოქმედებითი სიმწიფეც. მან თამაშის სამივე სტადიაში დაჯაბნა თავისი მეტოქეები. ის, ვინც დასაწყისში გადაურჩებოდა „მძვინვარე" ნონას, აგებდა შუა თამაშში, ვინც თავს აღწევდა გასაჭირს შუა თამაშში, აგებდა ენდშპილში! საჭადრაკო მიმომხილველებს უკვე არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ შუა თამაშში ნონა „თავს კარგად გრძნობს", მაგრამ ბევრისათვის მოულოდნელი იყო მისი ასეთი, თვალსაჩინო ხელოვნება ენდშპილში. მართლაც ნონა ხომ უპირველეს ყოვლისა კომბინაციური მოჭადრაკეა. ასეთებს კი არ უყვართ დაბოლოებები, სადაც არაფერია საიერიშო და ყველაფერს ტექნიკა წყვეტს. ისე, რომ ამ მხრივ ნონა იშვიათი გამონაკლისია.

ნონას თამაშს დიდი ქებით იხსენიებენ არამარტო პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილენი და მათი სეკუნდანტები, არამედ გამოჩენილი გროსმაისტერებიც. მსოფლიო ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი თბილისში ყოფნისას, ჯერ კიდევ ვრნიაჩკა-ბანიას ტურნირამდე, ამბობდა, რომ ნონა გაფრინდაშვილი საერთაშორისო კლასის მოთამაშეა. მსოფლიო ჩემპიონმა მხურვალედ მიულოცა ქართველ ქალიშვილს გამარჯვება და უსურვა შემდგომი წარმატებები. უაღრესად მაღალი აზრის არიან ნონას შემოქმედებაზე გროსმაისტერები სვეტოზარ გლიგორიჩი, ისააკ ბოლესლავსკი და იგორ ბონდარევსკი, ხოლო საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა მთავარი მწრთვნელი, საერთაშორისო ოსტატი ალექსანდრე კონსტანტინოპოლსკი აღტაცებას ვერ მალავს. ამგვარად, ქართველებს პირველად ჰყავთ მსოფლიო ჩემპიონობის „თავიდან ფეხებამდე" შეიარაღებული პრეტენდენტი, რომელსაც ძალა შესწევს შეერკინოს ელისაბედ ბიკოვას.

შეჯიბრება დამთავრდა. დაიწყო ზეიმის დღეები. მილოცვები, საჩუქრები, მეგობრების გულწრფელი სიხარული. მაგრამ „ვარსკვლავებისაკენ მიმავალი ვიწრო გზა" ჯერ კიდევ გრძელდება. მართალია, ნონას ერთი მეტოქეღა შემორჩა, მაგრამ ეს მეტოქე ყველაზე უფრო საშიშია. სწორედ ახლაა საჭირო სიმტკიცე და შეუპოვრობა.

ნონა გაფრინდაშვილიც მთელი სერიოზულობით ემზადება, მით უმეტეს, რომ იგი აქამდე ნაკლებად იცნობდა ბიკოვას შემოქმედებას. ოდესღაც მათი ერთადერთი შეხვედრა ბიკოვას გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ მაშინ ნონა მხოლოდ იწყებდა თავის გზას. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბიკოვა საერთოდ უკანასკნელ ხანებში ცოტას თამაშობს, იგი მომავალი მატჩისათვის მზადებაშია გართული. ჩვენ საქართველოში გვყავს „ბიკოვას საქმეების" დიდი სპეციალისტი, ესაა ნიჭიერი ოსტატი ელისო კაკაბაძე, რომლისაც მსოფლიო ჩემპიონს „ისე ეშინია, როგორც ეშმაკს ჯვარისა". მართლაც, კაკაბაძე ყოველთვის ამარცხებდა ბიკოვას და კარგად იცნობს მის თამაშს. კაკაბაძე თვლის, რომ ბიკოვასთან საჭიროა თამაშის გართულება და კომბინაციური „ქარბუქი". ეს, რა თქმა უნდა, საუცხოოდაა ცნობილი გაფრინდაშვილისა და მისი მწრთვნელისათვის. ბიკოვას დიდი ღირსებები გააჩნია — ესაა თეორიის საუცხოო ცოდნა, კარგი ტექნიკა, იშვიათი შეუპოვრობა. მსოფლიო ჩემპიონს უყვარს თამაშის გამარტივება, დიდხანს მოთმინებით თამაშობს ენდშპილს და თუ ოდნავ უპირატესობას მიაღწია, ჯიუტად ცდილობს მის რეალიზაციას. ასეთ მეტოქესთან თამაში მეტად საპასუხისმგებლოა, რადგან ყოველი ქულის მოპოვება ნამდვილ ბრძოლას მოითხოვს.

ჭადრაკის სამყარო მოუთმენლად ელის ამ მატჩის დაწყებას. მოუთმენლად ელიან მას ნონა გაფრინდაშვილის მრავალრიცხოვანი გულშემატკივრებიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და უსურვებენ გამარჯვებას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე გამართულ არცერთ მატჩს არ გამოუწვევია ასეთი ინტერესი!

„ვარსკვლავებისაკენ მიმავალი ვიწრო გზა" გრძელდება...

გ. გამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გზა მშვიდობისა!

ფოტორეპორტაჟი ვ. ლებედევის და ვ. მალიშევისა

ლენინგრადში არის არაჩვეულებრივი სასახლე. ყოველდღე მოდიან აქ ბედნიერი ვაჟები და ქალიშვილები. ისინი ქორწინდებიან საზეიმო ვითარებაში, ახლობლებისა და მეგობრების თანდასწრებით და შემდეგ ხელიხელჩაკიდებულნი ებმებიან დიდი და ნათელი ცხოვრების ფერხულში.

ბედნიერი ახალგაზრდობის სასახლე— ასე უწოდებენ ლენინგრადელები ამ ლამაზ შენობას განიერი, წყალუხვი ნევის პირას.

...ივნისის ნათელ, მზიან დილას მიდიოდნენ გალია შიტოვა და იური კირილოვი ქორწინების სასახლისაკენ, მიდიოდნენ მხიარულნი და ბედნიერნი. უცებ, გვერდით მიმავალ მანქანაში მათ შენიშნეს ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი.

— გიწვევთ ჩვენს ქორწილზე! — შესძახეს მათ.

ნიკიტა სერგის ძემ ალერსიანად დაუქნია ხელი, მანქანამ შეაჩერა სვლა. და ერთი წუთის შემდეგ ამხანაგი ხრუშჩოვი უკვე ხელს ართმევდა პატარძალს და სიძეს.

— მაშ, თქვენ ქორწილი გაქვთ? — ჰკითხა ნიკიტა სერგის ძემ. — კარგია. ვიღებ თქვენს მოწვევას.

ისინი ნიკიტა სერგის ძესთან ერთად ავიდნენ სასახლის მარმარილოს კიბეებზე. ვერასოდეს, სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ეს დღე ასეთი იქნებოდა... არაჩვეულებრივად ბედნიერი.

დიახ, ეს იყო არაჩვეულებრივი დღე და ჩვენ გვინდა უფრო დაწვრილებით გიამბოთ მასზე და სხვა ბედნიერ საათებზე, როცა კეთილ სასახლეში იბადებიან ახალი ოჯახები.

 აი ბედნიერი წყვილი — სტუდენტი მარგარიტა ჩერნიშევა და მისი ქმარი ინჟინერ-ჰიდრომშენებელი სტანისლავი. ხელჩაკიდებულნი გავლენ ისინი აქედან, რომ ყოველთვის იგულონ ერთმანეთი იმედად. საერთო აქვთ ფიქრები და იმედები ახალგაზრდებს. თავიანთი შრომით, თავიანთი საქმეებით ისინი გააუმჯობესებენ ცხოვრებას, შეიტანენ წვლილს დიად სახალხო საქმეში.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმას, რაც განსაკუთრებით სამახსოვროა გალიასთვის და იურისთვის, 8 ივნისის დღეს, როცა ისინი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვთან ერთად შევიდნენ ქორწინების სასახლეში.



სანამ სიძე-პატარძალი აუცილებელ დოკუმენტებს აფორმებდნენ, საბჭოთა მთავრობის მეთაური ყურადღებით ათვალიერებდა სასახლის შენობას, საუბრობდა თანამშრომლებთან.

აი, ის შეჩერდა ვიტრინასთან, სადაც ეწყო ნიშნის ბეჭდები და ყოველნაირი საჩუქრები ახალგაზრდებისათვის.

— კეთილ ინებეთ, მაჩვენეთ ეს სადესერტო მოწყობილობა, — ითხოვა ნიკიტა სერგის ძემ. — მე ვფიქრობ, ეს არ იქნება urიგო სამახსოვრო საჩუქარი ჩვენი ახალშეუღლებულთათვის...



დამთავრდა ყოველგვარი სამზადისი და ფართო, ნათელ დარბაზში მიიწვიეს სიძე-პატარძალი, მათ შემდეგ კი — ახლობლები და სტუმრები. დასრულდა ქორწინების საზეიმო ცერემონიალი. გალიამ მღელვარებით დასვა თავისი ხელმოწერა დოკუმენტზე, რომელმაც განამტკიცა მისი ქორწინება იურისთან. აბა, როგორ არ იღელვოს: იწყება ცხოვრების ახალი ფურცელი.

და კიდევ მეტიც, თუ გნებავთ, ის ღელავს იმიტომ, რომ მას უყურებს ახლა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი, უყურებს თავისი კეთილი, ალერსიანი თვალებით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 600 სიძე-პატარძალი

„მეორე ათწლეულის შედეგად ყოველ ოჯახს, მათ შორის ახლად შეუღლებულთა ოჯახს, ექნება კეთილმოწყობილი ბინა ჰიგიენისა და კულტურული ყოფაცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან

ძველთაგანვე ცნობილია ჩვენი დედაქალაქი ქორწილებით. თუმც სხვანაირები არიან ახლა სიძეები და პატარძლები. ერთი დარჩა უცვლელი — ქორწილი ყოველთვის დღესასწაულია. საშუალოდ მოსკოვში ყოველდღიურად 300-მდე ქორწილია, წინასადღესასწაულო დღეებში კი — სამიათასი.

აი, საიდან გაჩნდა ციფრი, რომელიც სათაურად გამოვიყენეთ — სამასი სიძე და სამასი პატარძალი. ეს არის ერთი დღის საშუალო ციფრი. შეიძლება კი მათი ერთად ნახვა? როგორც ჩანს, ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც მოსკოვში, მშვიდობის პროსპექტზე, ეს ერთი წელია გაიხსნა არაჩვეულებრივი „სალონი ახალშეუღლებულთათვის".

მივიდნენ ახალგაზრდები მმაჩში განცხადების შესატანად. უკან დარჩა ეჭვები და მერყეობა. ქორწინების დღე დანიშნულია. საქმე ყელამდე სავსეა. და აი, მმაჩში ბედნიერ წყვილს აძლევენ მოსაწვევს — ესტუმროს „ახალდაქორწინებულთა სალონს".

ახლა მმაჩიდან ყველა გზა სალონისკენ მიდის. მაღაზიის სამივე დარბაზს თავისი დანიშნულება აქვს. საჩუქრების დარბაზი, პატარძლის დარბაზი, სიძის დარბაზი. არავითარი სირბილი სხვადასხვა მაღაზიებში! ყველაფერი საუკეთესო, ყველაფერი ლამაზი და მოდური — ახალშეუღლებულებს!

სიძესა და პატარძალს თქვენ მაშინვე იცნობთ. ისინი ახალგაზრდები არიან. თვალები უბრწყინავთ სიხარულით. ისინი აუჩქარებლად გადადიან ერთი დახლიდან მეორისაკენ, ყურადღებით ათვალიერებენ ყველაფერს, თათბირობენ გამყიდველებთან, და შემდეგ მიაქვთ იქიდან შეკრულების მთელი გროვა. რა არ არის ამ შეკვრებში! ბევრი, ძალიან ბევრი აქვთ საყიდელი ახალშეუღლებულებს. თუ უცებ ფული არ ეყოფათ, არაფერია, შეუძლიათ ისარგებლონ კრედიტით. ახალგაზრდებს აქაც შეღავათი აქვთ: ჩვეულებრივი ექვსი თვის ნაცვლად მათ ეძლევათ ერთი წლის ვადა.

კარგები არიან მოსკოველი სიძეები და პატარძლები!

აგერ, ერთნი რაღაცაზე ხმამაღლა დავობენ! მეორენი ლაპარაკობენ მორცხვად, თითქმის ჩურჩულით, მესამენი უყურებენ ერთმანეთს თვალებში და ალბათ რაღაცაზე საუბრობენ, უსიტყვოდ.

ამათ კი რა აწუხებთ, მომსახურების განყოფილებისაკენ რომ მიდიან?

— ჩვენ ქორწილი სახლში გვექნება, — ამბობს ერთი, — და რა თქმა უნდა, ბევრ სტუმარს ველით. ჭურჭელი არ გვეყოფა. შეიძლება მისი წაღება ქირით?

— რა თქმა უნდა, შეიძლება. ყველაფერი იქნება თქვენთან ზუსტად დანიშნულ საათზე. ნუ სწუხართ, — იმშვიდებს მომსახურების განყოფილების თანამშრომელი.

ჭურჭელი, მაგნიტოფონი, აკორდეონი — რა არ მიაქვთ აქედან ქირით საქორწილო ზეიმისათვის.

— ჩვენ კი სხვანაირად გადავწყვიტეთ, — ამბობს მეორე, — საქმე რომ ნაკლები იყოს, ქორწილი რესტორან „პრაღაში" გვექნება. აქ, მაღაზიაში უკვე ყველაფერი შევუკვეთეთ. სამოც კაცზე მეტი სტუმარი გვეყოლება. ხომ ხელსაყრელია?

სალონში კიდევ სხვაც გაითვალისწინეს. თუ ახალდაქორწინებულთ სჭირდებათ ბილეთები მატარებელზე, თვითმფრინავზე ან გემზე, მათ შეუძლიათ შეუკვეთონ იქვე, მომსახურების განყოფილებაში.

აქ თქვენ მხოლოდ ბედნიერ ადამიანებს ნახავთ. მაღაზიაში ისინი შედიან აღფრთოვანებული სახეებით, მოციმციმე თვალებით, ბედნიერი ღიმილით — თითქმის ყველანი ახალგაზრდები და აუცილებლად წყვილები. მათ ხვდებიან მშობლიური ზრუნვით, სითბოთი, ალერსიანად, მიაცილებენ დარბაზიდან დარბაზში, ადგენენ შეკვეთების გრძელ სიებს.

კარგია, როცა არიან ასეთი მყიდველები.

კარგია, როცა არის ასეთი მაღაზიები.

**რედაქციისაგან:**

ახალგაზრდა წყვილები თბილისსაც ჰყავს. ახალი ოჯახები თბილისშიც ბევრი იქმნება. მხოლოდ ერთ რამეზე წყდებათ გული თბილისელ ახალგაზრდებს — მათი ქორწინების დღე ისე საზეიმოდ ვერ ტარდება, როგორც სურთ. რა კარგი იქნებოდა, რომ ქორწინების რეგისტრაცია ტოლ-ამხანაგებისა და ახლობლების წრეში ხდებოდეს, რომ ახალდაქორწინებულებს ბევრი შრომა არ დასჭირდეთ და სპეციალურ მაღაზიებში შეიძინონ ყველაფერი როგორც ეს არის ლენინგრადში, მოსკოვში...

ზოგი ახალდაქორწინებული საქორწილო მოგზაურობას აწყობს და ბილეთს დაეძებს. ზოგი ქორწილისათვის ემზადება და ბინის ფართობის სივიწროვე საშუალებას არ აძლევს მოიწვიოს მეგობარ-ნათესავთა ფართო წრე. ზოგს საოჯახო მოწყობილობის შეძენა სურს და ნატრობს, ნეტა კრედიტით ყიდვა შეიძლებოდესო. და კიდევ რამდენი სურვილი წამოიჭრება, როცა მეგობართან ერთად ახალ, დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებ.

ალბათ, ის წერილებიც, რომლებსაც რედაქცია იღებს, ამ შეყვარებული წყვილების გამოგზავნილია. წერილებში გამოთქმულია სურვილები, რომ თბილისშიც იყოს ლამაზი შენობა, სადაც ბედნიერი ახალგაზრდობა საქორწინო დღეს საზეიმოდ აღნიშნავს, იყოს სპეციალური მაღაზია ახალდაქორწინებულთათვის.

ახალგაზრდობის ეს სურვილები დროულია და ყურადსაღები, რომლებსაც უთუოდ მხარი უნდა დაუჭირონ ზემდგომმა ორგანოებმა, და მაშინ ჩვენი დღევანდელი დღის გმირები, ჩვენი საამაყო ახალგაზრდები სიხარულით იტყვიან:

— ჩვენი ქორწინების დღე იყო არაჩვეულებრივად ლამაზი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პორტრეტული ხელოვნების ოსტატი



საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში ამ ცოტა ხნის წინათ მორიგი სამხატვრო გამოფენა გაიხსნა. ამჯერად თბილისის საზოგადოების წინაშე წარსდგა საქართველოს სახალხო მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი. გალერეის სამი დარბაზი გაავსო ამ შესანიშნავი პორტრეტისტის მაღალმხატვრულმა ქმნილებებმა. ერთად წარმოდგენილმა ამ დიდმა მხატვრულმა მემკვიდრეობამ კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა მხატვრის ოსტატობის განსაკუთრებული მხარეები, მისი შემოქმედებითი ზრდა და ჩამოყალიბება.

და, რაც ყველაზე უფრო სასიხარულოა, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მხატვრის ბოლოდროინდელ ქმნილებებში კიდევ უფრო სრულყოფილად იჩინა თავი ჭეშმარიტმა პორტრეტულმა და პროფესიულმა ოსტატობამ, შემოქმედებითი ხელწერის ნიშნებმა.

ქ. მაღალაშვილის პორტრეტული ნაწარმოებები არაჩვეულებრივად მართალი და გულწრფელია, მოკლებულია ყალბ პათოსსა და შელამაზებას, მათში პიროვნების გარეგნული და სულიერი დახასიათება ჰარმონიულადაა შერწყმული სურათების ფერწერულ ფორმასთან; ადამიანის შინაგანი სამყაროს სისრულით გადმოცემის ამოცანას ემსახურება სურათის კომპოზიციური და კოლორისტული გააზრება.

როცა ერთმანეთს ადარებთ თითქმის ოთხი ათეული წლის წინ შესრულებულ მის პორტრეტებს, შემდგომი პერიოდებისა და ბოლოდროინდელ ნაწარმოებებს, არ შეიძლება არ შენიშნოთ, რომ ქეთევან მაღალაშვილი მწიფდება და ყალიბდება, როგორც ფერმწერი, როგორც კოლორისტი; მაგრამ როგორც მახვილი და ფაქიზი პორტრეტისტი, იგი უკვე პირველსავე ქმნილებებში გვევლინება. ამაზე მჭერმეტყველურად ლაპარაკობს ოციანი წლების ნაწარმოებები — პროფესორ ა. მაჭავარიანის, ელ. ახვლედიანის, დ. შევარდნაძისა და სხვათა პორტრეტები. არავითარ გარეგნულ ეფექტურ ხერხებს არ მიმართავს შემოქმედი გამოხატული პიროვნების დასახასიათებლად. საოცრად უბრალო, ბუნებრივი პოზა და მოძრაობა აქვთ მის მოდელებს — თითქოს არა მხატვრის წინაშე, არამედ მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე არიანო ეს ადამიანები, თავიანთ სამყაროში... პიროვნების ბუნების ღრმა და სათუთი გრძნობა განაპირობებს მხატვრის მიერ შერჩეულ კომპოზიციას, ლაკონურსა და გამომსახველს. შემოქმედი ზუსტად იჭერს ინტელექტის, ტემპერამენტისა თუ პროფესიული ჩვევების იმ თავისებურებას, რაც ასე ახასიათებს ამა თუ იმ ადამიანის მოძრაობას, თავის დაჭერის მანერას.

ქ. მაღალაშვილის შემოქმედების პირველი პერიოდის ქმნილებები აშკარად ცხადჰყოფენ იმას, რომ მათი ავტორი იმთავითვე მკაფიოდ ჩამოყალიბდა როგორც მხატვარი-რეალისტი, ფსიქოლოგიური პორტრეტის შემოქმედი.



ელისო ვირსალაძის პორტრეტი



ნ. ღიბრაძის პორტრეტი



ქალიშვილი ვარდისფერ კაბაში



უშანგი ჩხეიძის პორტრეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნ. ღვინეფაძის პორტრეტი

თუ მხატვრის ადრინდელ ნაწარმოებებში ჭარბობს მუქი სილუეტები, ჩამქრალი ტონები, თავშეკავებული და ლაკონური ფერადოვანი გადაწყვეტა, იგი თანდათანობით ისწრაფვის ფერთა ხმიერებისაკენ, სინათლისაკენ. ეს სწრაფვა თანმიმდევრული და მიზანდასახულია, მაგრამ არასოდეს — თვითმიზნური. ფერები, საერთო კოლორიტი, მკაცრად ექვემდებარება ადამიანის სულისა და ხასიათის ჩვენების ამოცანას.

ფერწერულ ტილოებს შორის მრავლად შეიძლება დავასახელოთ ქმნილებები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ არა მარტო მხატვართა და ხელოვნების მოყვარულთა შორის, არამედ საერთოდ საზოგადოების ფართო წრეებში. თამარ მეფის, ვერიკო ანჯაფარიძის, სვიატოსლავ რიხტერის, ნატო ვაჩნაძის, უშანგი ჩხეიძის, მოსე თოიძის, სოლომონ ვირსალაძის, სერგო ზაქარიაძის, მედეა ჯაფარიძის და სხვათა პორტრეტები დიდი ხანია ხალხის საყვარელ ქმნილებებად იქცა.

ერთნაირად ფაქიზი მიდგომით აღბეჭდავს მხატვარი თავის თანამედროვეთ — სხვადასხვა დარგის ცნობილ მოღვაწეებს, თუ უბრალო მშრომელ ადამიანებს. თვითეულ კერძო შემთხვევაში იგი ნახულობს საინტერესოსა და მნიშვნელოვანს ამა თუ იმ პიროვნებაში, აგნებს ძუნწსა და ამავე დროს მახვილ შტრიხებს, შესატყვის საღებავებს მათი ხასიათის გასახსნელად. ამიტომაა, რომ სახეთა ამ მრავალფეროვან გალერეაში თვითეული გვიზიდავს დამოუკიდებელი ინდივიდუალური სიცოცხლით, მკაფიოდ თავისებური ნიშნებით.

მომწიფებული და დახვეწილი ოსტატობით ბრწყინავს ქ. მაღალაშვილის უახლესი ნაწარმოებები. გუაშითა და პასტელით შესრულებული ეს პორტრეტები, ზოგ შემთხვევაში, თითქოს კიდეც ჩრდილავენ ზეთით დაწერილ ტილოებს. ადამიანთა ცოცხალი ხასიათების გამოძერწვის გარდა, ნამუშევრები გამოირჩევიან ფერთა განსაკუთრებული სიხალისით, სისუფთავითა და გამჭვირვალობით, ფერადოვანი გამის კეთილშობილებითა და ჰარმონიულობით. მხატვარმა ამ მასალებით მუშაობა თუმცა დიდი ხანი არ არის რაც დაიწყო, მაგრამ სულ მალე სრულყოფილად დაეუფლა წერის ტექნიკას. სსრ კავშირის სახალხო არტისტის ე. გოგოლევას, მხატვარ ც. შანშიაშვილის, პოეტ ანა კალანდაძის, პიანისტ ელისო ვირსალაძის, ტიციან ტაბიძის, არქიტექტორ ქ. სოკოლოვას და სხვათა პორტრეტები გვხიბლავენ მეტყველი კომპოზიციური გააზრებით, ფერადოვანი გამის სინატიფით და, რაც არსებითია, პორტრეტული დახასიათების სიმახვილით.

ქეთევან მაღალაშვილი საინტერესო ნატურმორტებისა და ძალზე პოეტური, ემოციური ლირიკული პეიზაჟების ავტორიცაა. დიდი სიყვარული და სითბოა ჩაქსოვილი თბილისურ ციკლში — ჩვენი დედაქალაქის სხვადასხვა კუთხის ამსახველ პეიზაჟებში. ისევე, როგორც პორტრეტები, ბუნების ეს ცხოველხატული მოტივები შესრულებულია რბილი მოდელირებითა და ნაზი გადასვლებით, მხატვრისათვის ჩვეული არტისტული ტემპერამენტით და დიდი გემოვნებით.

ეს პეიზაჟური ტილოები ცხადჰყოფენ, რომ ქ. მაღალაშვილი არამარტო ადამიანის სულის მესაიდუმლეა, არამედ ბუნების სათუთი შემგრძნობიც.

საქართველოს სახალხო მხატვრის ეს შემოქმედებითი ანგარიში საყურადღებო მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. იგი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რა მძლავრი ძალები ჰყავს ქართულ საბჭოთა ხელოვნებას, რა ფართო და მდიდარია ჩვენი სახვითი კულტურის საგანძური.

ლეილა თაგუკაშვილი



# უშგულელი ქალები

უშგულის ქალები თეთრი ნაბდებივით წამოუხურავთ სვანეთის მთების მწვერვალებს, ცამდე აწვდილნი, თითქოს დარაჯად დადგომიან ქვევით მოჩუხჩუხე წყაროებს, ძველ სვანურ ციხე-კოშკებს.

მთებში ტბასავით გაწოლილ ლანქვერის ველზე ნაირფერი ყვავილები ირწევიან, ნანაობენ, გარს ევლებიან ველის შუაგულში წამომართულ თეთრ შენობას. ირგვლივ უღრანი ტყეები და მთებია, ნადირებიც დაძრწიან ალბათ...

ვიწრო ბილიკზე თუ ფეხი დაგიცდა, უფსკრულში გადაიჩეხები. ჩვენ მაინც წინ მივიწევთ. ვუახლოვდებით თეთრ შენობას და საიდანღაც ნაგაზები გამორბიან. ცისფერთვალება, გრძელნაწნავიანი გოგონა თავქვე ეშვება, ნაგაზებს ტუქსავს, გვესალმება. შევდივართ ოთახებში და გვავიწყდება, რომ უღრანი ტყეები და ცადაზიდული მთებია, რომ აქ დაძრწიან მხეცები. ვხედავთ ლამაზად გაწყობილ საწოლებს, ჟურნალ-გაზეთებით და წიგნებით სავსე მაგიდას, რადიორეპროდუქტორს, საიდანაც ილვრება მელოდიური ჰანგები, მოგუზგუზე ღუმელს. ივლისია და აქ მაინც გსიამოვნებს მოგუზგუზე ცეცხლი.

ღუმელთან ორი ქალი ფუსფუსებს, ჩვენს დანახვაზე ისინი ცომიან ხელებს წინსაფარზე იწმენდნენ და ღიმილით გვესალმებიან, — ქემათ და ევა ჩარქესელიანები დღეს მორიგეები არიან; საცაა დაბრუნდება ნახირი, მათ მოყვებიან დაღლილი ადამიანები და გემრიელი ვახშამი უნდა დაახვედრონ.

ამ თეთრ შენობაში ფერმაა. იგი უშგულის კოლმეურნეობას ეკუთვნის. თორმეტი მწველავი ქალი მუშაობს აქ. მამაკაცებს სხვა საქმეებიც აქვთ. ქალებს ისიც ვერ მოუნელებიათ, რომ სამი მწყემსი და ფერმის გამგე კაცებია:

— განა ჩვენ ვერ აუვალთ საქმეს? არც ამ მთების გვეშინია და არც ამ ტყეების. დაგეშილი ნაგაზები გვყავს. იარაღის ხმარებაც მამაკაცებზე ნაკლებ არ გვეხერხება...

1950 წლიდან მუშაობს ფერმაში მწყემსად ტარას ხაჭვანი. პირველ ხანებში მხოლოდ 73 ძროხა ჰყავდათ. რამდენჯერ სთხოვა ცოლმა: „მეც წამიყვანე ფერმაში, წაგეხმარებიო...“ სასაცილოდ არ ეყო ტარასის: „ქალმა რა უნდა გამიკეთოსო ფერმაში“. მაგრამ როცა გოგონებმა სკოლის მერხიდან ფერმისაკენ გაიწიეს, მათ უკვე ველარავინ დაუდგა წინ. პირველ ხანებში გაუჭირდათ ქალებს, ძროხებმა არ მიიკარეს, ხბოები დამფრთხალი გარბოდნენ, ნაგაზები ახლოს არ უშვებდნენ, მაგრამ საქმე თანდათან მოგვარდა. დღითიდღე იმატა წველადობამ, გაიზარდა პირუტყვის სულადობაც. თვითეული 12 ძროხას და 12 ხბოს უვლის. არც ერთი ხბო არ დაღუპვიათ.

დღეს ფერმაში ორასი ძროხაა, ორასი ნამატით.

შებინდებისას ნახირი მოაბღავლებს. წინ რქებგადაგრეხილი „ლამაზა“ მოუძღვება. ჯერ იქვე მოჩუხჩუხე რუსთან შედგებიან, რიგრიგობით დალევენ წყალს. გოგონებიც ჯაგრისით ხელში მათთან გაჩნდებიან. ძროხები მორჩილად მიუშვერენ ქედს და ჯაგრისის ყოველ ჩამოსმაზე აბაკუნებენ ფეხებს. დასუფთავებული ძროხები სადგომს მიაშურებენ, მარილს მოლოკავენ, ვეებერთელა ქვაბებით რბილ საკვებს მიირთმევენ, მერე ქალები ცურებს ჩამობანენ და...

მოსჩქეფს რძის ნაკადული...

ჩამოწველას პირველი ქემათ ჩარქესელიანი მოათავებს.

წველას მორჩებიან და, ზოგი მაწონს ადედებს, ზოგს ყველი ამოჰყავს, ზოგი კარაქის დღვებას იწყებს, ერთმანეთს ეჯიბრებიან და მაინც ერთმანეთს ეხმარებიან, ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ საქმეს.

მორჩებიან ყველაფერს და მოგიზგიზე ღუმელს შემოუსხდებიან. მერე ვიღაც რომელიმე წაკითხულ წიგნს ახსენებს და იწყება კამათი.

...სიხარულს ვერ ფარავს ახალგაზრდების შემყურე 75 წლის ტარას ხაჭვანი, რამდენი რამის მომსწრეა იგი. უშგულის მიწა თავისუფლებისმოყვარე სვანთა სისხლითაა მორწყული. ახსოვს ის დრო, როცა ქალები ეზოდან გამოსვლას ვერ ბედავდნენ, კოშკებში იყვნენ ჩაკეტილნი. რამდენი თავდასხმა, ძარცვა, უსამართლობა! წერა-კითხვის მცოდნე თითო-ოროლა კაცი თუ მოიძებნებოდა მთელ სვანეთში... მეცხოველეობას მაშინაც ეწეოდნენ სვანები, მაგრამ... დღეში ხუთი ლიტრი რძე რომ მიეცა ძროხას — აუ, რა დიდი მეწველიაო, — იტყოდნენ. ჭვავი და კარტოფილი მოჰყავდათ მხოლოდ. მჭვარტლიან მაჩუბებში ერთად ცხოვრობდნენ ადამიანები და პირუტყვები. ექიმს ვინ ნახავდა თვალით.

ახლა? ახლა ყველა უშგულელმა იცის წერა-კითხვა. კეთილმოწყობილი საშუალო სკოლა, სამკითხველო, კლუბი, რადიო, საექიმო პუნქტი ამშვენებს სოფელს. მაჩუბებში აღარავინ ცხოვრობს. ორსართულიანი ქვითკირის გრძელაივნიანი სახლები წამოუჭიმავთ. უშგულელებს ახლა ხორბალიც მოჰყავთ, ქერიც, სიმინდიც. მეცხოველეობამ ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.



ევა ჩარქესელიანი

ბედნიერია ტარასი, ბედნიერი, მაგრამ გული მაინც წყდება — მოვხუცდიო. თუმცა კვლავ ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს. წინათ მეუღლეს ედავებოდა — რა უნდა გამიკეთო ფერმაშიო, ახლა აქეზებს· სხვებმა არ გაჯობოს, თორემ ამ სიბერეში გავეყრებიო...

მოაწევს თუ არა ალიონი, ფეხზეა თორმეტი ქალი — ასუფთავებენ სადგომს, ასუფთავებენ ძროხებს, კვებავენ, წველიან და ასე მეორდება ყოველ დილას, ყოველ საღამოს. ყოველ ახალ დღეს ახალი მიღწევები მოაქვს მათთვის.

ოლია გელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერე რა, რომ ფშატის ხე ვარ...



მოთხრობა

ფშატის ხე ვარ, ვერცხლისფერი და სურნელოვანი. ეზოს ბოლოში ვდგავარ, ღობის ძირას. არ ვხმაურობ, არ ვჩურჩულებ ცაცხვისა და ვერხვის ხესავით, ვერა და ვერ ამიყოლია ჭორიკანა ნიავმა.

ეზოს ბოლოში ვდგავარ-მეთქი; ერთი რამე ვიცი და არავის ვუმხელ. რად ვიტყვი რა, კაცმა საიდუმლო ვერ უნდა შეინახოს?!

ჰო და, ასე.

ჩვენი ეზო დაბალზეა, ზევით პატარა გორაკია, იქ კიდევ სხვა ეზოა. იმ ეზოდან ორი ძირი ვაშლისა და მსხლის ხე გადმომყურებს. მიღიმიან ლოყაწითელი ვაშლები და ქარვისფერი მსხლები. არა მშურს! ფშატი კი ნაკლები სასუსნავია?!

ხშირად გია და ზურიკელა ამომაცოცდებიან, მოკალათდებიან ჩემს ტოტებზე და შესცქერიან ქვევიდან ზევით მწიფობაში შესულ ნაყოფს. აკრძალული ხილი ტკბილიაო, ხომ გაგიგონიათ?

ცქერით გულს რომ იჯერებენ, ისევ ჩამოცოცდებიან და ნერწყვის ყლაპვით გაეცლებიან აქაურობას.

ამით აბა, ვის რა უშავდებოდა?!

მაგრამ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა.

იმ ბიჭმა, მაღლა ეზოში რომ ცხოვრობს, მოსვენება დამიკარგა. შებინდდება თუ არა, გორაკიდან ჩამოიპარება, აწოწილი კანჭებით ისე გადმოაბოტებს ღობეს, ვითომც და აქ არაფერიაო და ჩემთან ახლოს, ბალახებში ჩაჯდება, გაინაბება.

პირველად გულმა გამკენწლა, აქ რას ჩამობრძანდა, სიბნელეს რად ეტანება, კაი კაცი არ უნდა იყოს-მეთქი. მერე, როცა ბნელში, ჩვენი ეზოს კოხტა გოგო მარინე, პეპელასავით მოფრინდა და ნიავივით დაეშვა ბიჭის გვერდით, მაშინ კი ვიკბინე ენაზე — ესეც შენა-მეთქი.

მას შემდეგ ერთი ღამეც არ გავა, რომ ის ბიჭი გორაკიდან არ ჩამოვიდეს და არ შეხვდეს მარინეს.

— აჰა, შენ მოგიტანე! — და მარინეს კალთაში გორდებიან ვაშლები და მსხლები.

— შენცა ჭამე, გიგლა!

— არ მინდა, შენ მოგიტანე!

იცინის და თეთრი ქათქათა კბილებით ვაშლს კბეჩს მარინე.

უხარია გიგლას, ხელში ბალახს აწვალებს და თვალებში შესციცინებს გოგოს.

— მარინე, გინდა ხრამზე გადავხტები!

— უი, რას ამბობ, სიბნელეა, დაიმტვრევი!

— უნდა გადავხტე!

— ვიკივლებ!

— დედაშენი გაიგებს...

— ვიკივლებ!

უხარია გიგლას, მარინე მისი გულისათვის იკივლებს.

მეც მიხარია: ორი გული სიყვარულით ფეთქავს და ჩემამდე აღწევს მათი ღუღუნი.

გათენდა...

იმ ბიჭის დედამ ხეხილებს შემოუარა და ლოყაზე იტკიცა ხელი, მერე გორაკზე გადმოდგა, ბილიკს გახედა, უფრო გამწარდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— უი, დედა! რატომ არ მოვკვდები, როგორ დაუნელებიათ ხილი. ამას ჰქვია შვილების გაზრდა? გამოუშვებენ ქათმებივით და ვიღა უგდებს ყურს! თქვენ ამოიძირენით, ქვემოეზოელებო, აგრემც!

მწარე-მწარეს ისვრის გულნატკენი ქალი, იგი დღე-დღეზე ელოდება უფროსი ვაჟის დაბრუნებას ჯარიდან: მისი დარგულია ეს ხეებიო, ენაცვალოს დედა, მსხმოიარე მინდოდა დამეხვედრებიაო.

შეიქმნა ერთი ალიაქოთი — ის ზევიდან, ჩვენები ქვევიდან.

— მოუარეთ თქვენს შვილებს, ბატონო, აი, ბილიკი ამტკიცებს როგორ მოძვრებიან ეგ ღლაპები ზევით-ზევით!

ზურიკელა და გია ფიცილით იჭაჭებიან, დედა არ მოგვიკვდეს, ფეხი არ აგვიდგამს მაღლაო.

ბრაზი მოსდის გიას დედას. არც ის რჩება ვალში:

— რას დაგვყვირი, რომ დაგვყვირი! ეს ბილიკი იქნება თქვენგან დაიტკეპნა და ტყუილად რად ასარსალებ მაგ ენას!

სიცილად არ ჰყოფნის გიგლას დედას: ნეტავ, რა გაბადიათ? ვინ რაზე ჩამოვა თქვენსკენაო, თქვენი ბაღჩა-ბაღის ჭირიმეო!

მე კი ვდგავარ და მეღიმება.

შენ რა იცი, ბიჭის დედავ, ამათ ის ანდამატი გააჩნიათ, დღენიადაგ შენს შვილს რომ აქეთ მოეზიდება, ძილს უკარგავს და აფორიაქებს. თვალი გაახილე, განა კიდევ ის პატარა ბიჭია, მოკლე პერანგიდან რომ მოუჩანდა ჭიპი? საოცარია, ყოვლისმხედველი დედის თვალი ხშირად ყველაზე გვიან შეამჩნევს ხოლმე შვილის შეღერებას.

ზემოდან დიდხანს ისმის იმ ბიჭის დედის ქოთქოთი. მარინეს სიმწრის ოფლი გადასდის: ამაღამ ისე გავთათხავ გიგლას, მტკვარმაც ვერ გარეცხოსო, ყელზე მადგას მისი ვაშლები და მსხლები!

მზემ უკანასკნელი სხივიც გადააწვდინა მთებს იქეთ, ბინდი შეეპარა სოფელს, შავი ფერები შემოეძალნენ ეზოებს, დაღამდა...

მე კი ახლა ვიწყებ ცხოვრებას, ვღელავ და ვხარობ, მოველი ჩემს სტუმრებს, მერე დიდხანს სიყვარულის ზღაპარს ვისმენ და ვმაღლდები ადამიანივით.

მერე რა, რომ ფშატის ხე ვარ...

ბიჭის დედამ ლოგინი აივანზე გაშალა —უნდა პირზე მური გადავუსვაო ქვემოეზოელებს. აბა, თუ არ დავიჭერ ხილის ქურდსო.

გიგლა ოთახში წევს, შამფურივით ტრიალებს, დრო ტაატით გადის, ელის გიგლა, — იქნებ დედას მალე ჩაეძინოსო... მთვარე მაცდურად ჭუტავს თვალებს, ზედ ფანჯარას მოსდგომია და გიგლას ცეცხლზე ნავთს უსხამს.

ირგვლივ მიყუჩდა ყოველი, ჩამიჩუმიც არ ისმის არსაიდან. გიგლა ფრთხილად წამოდგა, ფანჯრიდან ეზოში გადაძვრა და ერთ წამს მიაყურა მიდამოს. მერე ფეხის წვერებზე მიუახლოვდა ხეებს და ორი მსხვილი ნაყოფი მოწყვიტა მსხლის ხეს — ეს უკანასკნელად იყოსო, მეტს აღარ გავეკარები ამ ხეებსო — გაიფიქრა, მაგრამ დახე უიღბლობას, ხელი უხერხულად გამოსწია და მსხლის პატარა ტოტი მოჭრილი მკლავივით დაეკიდა ხის ტანს...

მოულოდნელობისაგან გიგლამ კინაღამ შეჰყვირა, მერე გონს მოვიდა, ფრთხილად გაეცალა იქაურობას და ფეხაკრეფით ჩაუყვა გორაკს.

ჩემთან, ჩემს ვერცხლისფერ ტოტებთან რახანია უცდიდა მას გოგო.

ახლა კი მოხვდება გიგლას, რისხვად დაატყდება მარინე გულუხვ ბიჭს...

— გიგლა, ჩემო გიგლა, რატომ დაიგვიანე, აბა გულზე ხელი დამადე, გესმის, როგორ მიცემს, როგორ შემაშინე, ნეტავ, რა მოუვიდა-მეთქი...

ბიჭოს! სახტად დავრჩი, ჭექა-ქუხილს მოველოდი და ხედავთ, რა მოვისმინე?

ვინ გაიგებს გოგონების საქმეს.

— აჰა, ჭამე. კარგი მსხლებია, ტკბილია...

— შენი ჭირიმე, გიგლა, ჩემო გიგლა!

მსხლებს იხუტებს მარინე და იცინის, უდარდელად იცინის.

— სუ, მარინე! დედას აივანზე ძინავს, იქ, ზევით. — მარინეს სიცილი ტუჩზე ეყინება. გიგლას იჭვნეულად შესცქერის და გუნება უფუჭდება.

— გეშინია, გიგლა?!

— არა, კი არ მეშინია, მაგრამ...

— სთქვი, გიგლა, სთქვი, აღარ გიყვარვარ?!

— არა, მარინე, რას ამბობ! დედას გეფიცები, ჩემო მარინე, ჩემო... იცი რა, პატარა ტოტი მომიტყდა მსხლის ხეზე.

— უი, რას ამბობ, ბიჭო?.. ხვალ კიდევ ჩხუბი იქნება.

— იქნება, მარინე, იქნება... დედა მეცოდება, ისევ გაბრაზდება...

— ზურიკელა და გია?! იმათაც ტყუილად გათათხავენ...

გიგლამ წელმოწყვეტილივით აიარა ბილიკი... გათენებას გულის თრთოლვით ელოდა.

გათენდა...

დედამ ეზო-ყურე დაასუფთავა, მერე ადუღებული რძით სავსე ქვაბი ოთახში შეიტანა.

გიგლას ისევ ეძინა; დედას ღიმილმა გაუპო ბაგე, ალერსით დააცქერდა შვილს და გაუკვირდა, ზემო ტუჩზე ღინღლი მოსძალებოდა ბიჭს.

„ღმერთო ჩემო, როგორ გაზრდილა, ჩემი ვაჟკაცი“. და ფეხაკრეფით გაიარა ოთახი.

იმ დღეს ჩხუბი არ მომხდარა.

ნინო ქოგულაშვილი

# წაუკითხეთ პატარებს

თინათინ კვირიკაძე

## აი, ნახეთ!

შოთა კარგი ბიჭიაო,
ბებია რომ სულ აქებს,
აი, ნახეთ, როგორ ჯღაბნის,
წიგნებსა და სურათებს!

## ზარმაცია, აბა რა!

დედას სიტყვას არ აცლის,
არა ვარო ზარმაცი.
რომ არ უყვარს დაბანა,
ზარმაცია, აბა, რა!

* * *

მეც რომ მყავდეს, ავთანდილ,
მანქანები კრიალა.
ყველას ვათამაშებდი,
მარტო ზაზას კი არა!

## კ ე რ პ ი

ნუკრი უძილობისგან
ცრემლებსა ჰყრის მძივებად,
მაგრამ მაინც იძახის:
„არა, არ მეძინება“.

## გ უ ლ ა დ ი

მე გულადი ვარო,
მუდამ რომ იძახდი,
აბა, ახლა, გიავ,
ასე როგორ წახდი.

თავს საბანში მალავ,
სახეს სულ არ აჩენ.
წამალს თუ არ დალევ,
ისე რა მოგარჩენს!

## მე თხუპნია არა ვარ

გუშინ ჩემმა ბებიკომ
დამაყენა კუთხეში —
რატომ ჩაგიყრიაო,
ფეტვი კაბის უბეში.
მე თხუპნია არა ვარ,
არა, ჩემო ბებია,
ჩიტებს თუ არ ვაჭამე,
ხომ დაიხოცებიან.

## მტირალა

სულ ტირილი გია,
აბა, გაგიგია?
„ტირიასა ბანი,
სამი გობი მხალი.
საღორეში შესვით,
მოუკეტეთ კარი“.
ისე, როგორც წუხელ
კვლავ თუ შეგვაწუხებ,
შეგსვამთ ღრუტუნასთან
და დაგტოვებთ მასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკვავო როლი იყო, ჩვენ ვიცოდით: ბუჟუჟა ითამაშებდა. უკვე მეორე სეზონში ოპერეტა „მასკოტაში“ („ნატვრის თვალი“) კოტემ იგი მთავარ როლზე დანიშნა ტასო აბაშიძის დუბლიორად. ო, როგორ ღელავდა ბუჟუჟა! დამწყები მსახიობისათვის ეს ძალიან სერიოზული გამოცდა იყო. მასკოტას როლი, ვოკალის მხრივ, ნამდვილ პროფესიულ შესრულებას მოითხოვს, მერე უზარმაზარი ტექსტი: მთელი ოპერეტა სულ მასკოტას სცენებზეა აგებული, იგი თითქმის არ გადის სცენიდან. მაგრამ ხელმძღვანელი არ მოტყუვდა არჩევანში. გულახდილად უნდა ითქვას: დუბლიორმა დაჩრდილა მთავარი შემსრულებელი. რა თქმა უნდა, ჰქონდა მნიშვნელობა იმასაც, რომ ტასო იმ დროს ხანშიშესული იყო და თუმცა მისი ძლიერი, კარგად დაყენებული ხმა ჯერ კიდევ შესანიშნავად ჟღერდა, ნორჩი, ცქრიალა გოგონას როლი მას უკვე აღარ შეეფერებოდა.

ბუჟუჟას დიდი წარმატება ხვდა ამ როლში. ლამაზი, მოქნილი ხმა ადვილად სძლევდა პარტიის ვოკალურ სიძნელეებს. ისე გაბედულად, პროფესიულად მღეროდა, ისე დამაჯერებლად და თავისუფლად მოქმედებდა სცენაზე, გეგონებოდათ ოპერეტაშია დაბადებული და გაზრდილიო.

მალე ტასომ სულ მიატოვა ეს როლი და ბუჟუჟა მარტო გამოდიოდა „მასკოტაში“.

— ვერ წარმოიდგენ, როგორ თავისუფლად ვგრძნობ თავს ამ როლში, — მეუბნებოდა იგი, — მიხარია გრიმს რომ ვიკეთებ, კოსტუმს რომ ვიცვამ. თითქოს რაღაც დღესასწაულისათვის ვემზადები. მენანება როცა თავდება სპექტაკლი.

— ნუთუ არ იღლები?

— სრულებითაც არა. გინდ ყოველდღე ვითამაშებდი!: ეს იყო ის იშვიათი, საბედნიერო მოვლენა, რაზედაც შემდეგში არაერთხელ გვესაუბრებოდა ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელი: „უაღრესად დრამატულ მომენტშიც კი, გონების სიღრმეში უნდა გრძნობდე სიხარულს, შემოქმედებით სიხარულს“. — როლის ათვისება იმდენად, რომ მისი სულიერი ცხოვრება შენი საკუთარი გახდეს, გარდაქმნა, გარდასახვა, — ეს მომენტი მსახიობს ანიჭებს უდიდეს კმაყოფილებას.

ბუჟუჟა ადვილად შედიოდა როლში. არავითარი „შემოქმედებითი ტანჯვაწამება“ მას არ სჩვევოდა. უძილო ღამეები, თავის თავით უკმაყოფილება, ძიება... — უცხო იყო მისთვის. საკვირველი სულიერი სიმშვიდე, სისადავე ახასიათებდა.

— თუ როლი ახლოა ჩემს საკუთარ ბუნებასთან, თუ ვგრძნობ მას, თუ მჯერა, რატომ უნდა გამიძნელდეს? და თუ თავიდანვე ვერ ვიგრძენი, ვერავითარი ანალიზები და ტრაქტატები ვეღარ მიშველის, — ასე უბრალოდ ხსნიდა იგი მსახიობის პრობლემას.

მის მიერ შესრულებული თითქმის არც ერთი როლი არ ეწინააღმდეგებოდა მის ბუნებას, მის მსახიობურ ინდივიდუალობას.

განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში სპექტაკლი „საქმის კაცი“ (ჰაზენკლევერი). ექსპრესიონისტური სტილის სატირიკული კომედია სანდრო ახმეტელმა პირობით ფორმებში განასახიერა. მსახიობთა შესრულებაც შესაბამისად მძაფრ გროტესკულ ხაზებში იყო მოცემული. სცენაზე დიდი ოსტატის ხელით ზუსტად ორგანიზებული ორომტრიალია: გააფთრებული რიტმი, სინკოპიური მუსიკა, ექსცენტრიული მიზანსცენები, სინათლის და ფერების თამაში, ჯაზი, ჩარლსტონი, აკრობატიკა... და ამ გახელებულ რიტმულ კაკაფონიაში მხოლოდ ერთად-ერთი განმარტოებული ადამიანური ბგერა ისმის: გულწრფელი, ლირიკული, ეს არის ალინა — მოსამსახურე, ჩინელი ქალი, მილიონერ მისტერ ტოპაზის ოჯახში. მეორე მოქმედების ერთ-ერთ სურათში, სცენაზე სინათლე უეცრად ქრება, გაისმის ნაზი, მელოდიური ჰანგი. ზევით, თითქოს ჰაერში ჩამოკიდებულ ვიწრო ბაქანზე გამოჩნდება ალინას მსუბუქი სილუეტი. მთვარის შუქზე გამჭვირვალე თეთრი მოჩვენებაა. ალინა მარტოა. დარდობს. იგონებს შორეულ სამშობლოს. მომაჯადოებლად ჟღერდა ამ სცენაში მისი ნაღვლიანი სიმღერა.

ქსენიას როლის განსახიერება ბ. ლავრენიევის პიესაში „რღვევა“ სხვადასხვანაირად შეიძლება. 1928 წლის სეზონში თბილისის სამმა თეატრმა დადგა ეს პიესა. ქსენიას როლს ხუთი შემსრულებელი ჰყავდა: სამი რუსთაველის თეატრში, ერთი რუსულ დრამაში და ერთიც სომხურ თეატრში. საინტერესო შეჯიბრება გაიმართა მსახიობთა შორის. არც ერთი ქსენია არ ჰგავდა სხვისას.

ბუჟუჟა შავიშვილი თამაშობდა ფუქსავატ, დაუდევარ, განებივრებულ გოგონას, ძალიან ახალგაზრდას, თითქმის ბავშვს, მისი ქსენია არ ჰგავდა „ნახევრად ქალწულს“, როგორც ახასიათებს მას პორუჩიკი პოლევოი, ეს უფრო თავხედი, გალაზღანდარებული, უჭკუო ბავშვი იყო. რასაც სჩადიოდა — სისულელით, მოუფიქრებლობით, უსუსურობით. განსაკუთრებით კარგი იყო მესამე აქტის სცენაში, სადაც ქსენია ოხუნჯობს, ცელქობს, ეკეკლუცება თავის თაყვანისმცემელს პორუჩიკ პოლევოის.

ბუჟუჟა კომიკური როლებისათვის იყო გაჩენილი. კომიკურ სახასიათო როლებში შეუდარებელი იყო. დრამატიულ როლებს კი ვერ იტანდა.

— რა ვქნა, არ შემიძლია, — ამბობდა, — ფსიქოლოგიური განცდები ჩემი საქმე არ არის. დრამატიულ მომენტში უცებ გამოვვარდები ხოლმე როლიდან



„სინათლე“ — ავთანდილი

და თითქოს შორიდან ვუყურებ საკუთარ თავს, მეცინება.

დიახაც უცხო იყო მისი სიცოცხლით სავსე ბუნებისათვის დრამატიული განცდები. „ცხვრის წყაროში“ პასკუალას თამაშობდა. იმ სცენებში, სადაც სიკეკლუცე, ქალური სიფაქიზე იყო საჭირო, ნამდვილად მომხიბლავი იყო...

ერთხელ, არ მახსოვს რომელ დრამაში, ბუჟუჟას, ექსპერიმენტის სახით, დაავალეს მოხუცი დედაკაცის როლი. ძალიან მონდომებული იყო ბუჟუჟა, მაგრამ ექსპერიმენტმა ფუჭად ჩაიარა, ვერც მსახიობს არგო, ვერც სპექტაკლს შემატა რამე.

კომიკური მოხუცი რომ ყოფილიყო, უსათუოდ გამართლდებოდა ექსპერიმენტი.

ა. ახმეტელს ძალიან უყვარდა ბუჟუჟა, უფრთხილდებოდა მის ფაქიზ, თანდაყოლილ ნიჭს, არც ცდილობდა მის გარდაქმნას, ყოველთვის მის შესაფერის როლებს ურჩევდა.

ვის არ ჩარჩა გულში, ვინც კი იცნობდა მას, ნათელი ხსოვნა ამ სპეტაკ ადამიანზე?

ყველასათვის საყვარელი, ერთგული, გულისხმიერი ამხანაგი, პირდაპირი, გულმართალი, პატიოსანი ადამიანი, უაღრესად პრინციპული და მტკიცე თავის რწმენაში, მეგობრობაში — ასეთი იყო ბუჟუჟა შავიშვილი.

**თამარ ჭულუკიძე,**

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხვირსახოცის ისტორიიდან

ახლა ყველას შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს, რომ ცხვირსახოცი, ურომლისოდ ცხოვრება თანამედროვე ადამიანს ვერც კი წარმოუდგენია, ხმარებაში შემოვიდა მხოლოდ მე-13 საუკუნიდან.

მის სამშობლოდ იტალია ითვლება. პირველი, ვისაც ხელში ცხვირსახოცი სჭერია, ყოფილა შესანიშნავი სილამაზის მქონე დიდგვაროვანი ვენეციელი მანდილოსანი.

მე-15 საუკუნეში ცხვირსახოცი საფრანგეთში ვრცელდება. მეფე ჰენრიხ II-ს კარზე მოოქროვილ ცხვირსახოცით ხელში პირველად გამოჩენილა მშვენიერი სეფე-ქალი დიანა დე-პუატიე. მისი მიბაძვით სხვა პარიზელმა მანდილოსნებმაც დაიწყეს ძვირფასი ცხვირსახოცების ტარება. ჰენრიხ II-მ შემოიღო არშიებიანი ცხვირსახოცები, ხოლო მისმა მემკვიდრემ ჰენრიხ III-მ პირველმა გაჟღინთა ისინი ყვავილების ესენციებით.



1595 წლიდან ცხვირსახოცებს ატარებენ გერმანიაში და ინგლისშიც.

ომებმა, ქვეყნების ურთიერთდაახლოებამ და ათასობით მოგზაურებმა ხელი შეუწყვეს ამ საგნის პოპულარიზაციას თითქმის ყველა ქვეყანაში. თავდაპირველად ცხვირსახოცი ფუფუნების საგანს წარმოადგენდა და დიდი ხნის განმავლობაში მას მხოლოდ ქალები ხმარობდნენ. წინათ იგი ყოველთვის მარცხენა ხელში ეკავათ. შემდეგ, საუკუნეების მანძილზე ცხვირსახოცებით სარგებლობდნენ არისტოკრატები, მაღალი ფენის წარმომადგენლები. მაგალითად, 1595 წელს დრეზდენში გამოსული ბრძანებულებით ცხვირსახოცის ტარება ეკრძალებოდათ დაბალი ფენის ხალხს. არისტოკრატები ცხვირსახოცებს რთავდნენ მდიდრული ქარგულობით. ცხვირსახოცებზე ამოქარგული იყო სხვადასხვა სახეობანი, თვალწარმტაცი ლანდშაფტები და სხვა.

გერმანიაში ცხვირსახოცებს ერთმანეთს უძღვნიდნენ დანიშნულები.

საფრანგეთში გავრცელებული იყო ეგრეთწოდებული ვენერას ცხვირსახოცები, რომლებსაც თითქოსდა სილამაზის შესანარჩუნებლად იყენებდნენ. ცხვირსახოცს ასველებდნენ არომატებით, ესენციებით, მალამოებით და ღამით იფარებდნენ სახეზე.

აღმოსავლეთში ცხვირსახოცებს მხოლოდ დიდებულები ატარებდნენ, ქამრებზე მიბმულს. თუ დიდებული ცხვირსახოცს თავისი ჰარამხანის რომელიმე ქალს ესროდა, ეს განსაკუთრებული წყალობის ნიშანი იყო.

მე-19 საუკუნის დასასრულს ფრანგმა პროფესორმა გიუიომ წამოაყენა ქაღალდის ცხვირსახოცების იდეა. ქაღალდის ცხვირსახოცი უფრო ადრე ხმარებაში იყო იაპონიაში, სადაც თავისი ფუნქციის შესრულების შემდეგ მისი ხელმეორედ ჯიბეში ჩადება დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

ამავე საუკუნის დასასრულს ამერიკაში გამოდიოდა გაზეთი „ცხვირსახოცი", რომელიც იბეჭდებოდა ტილოზე და წაკითხვის შემდეგ ცხვირსაწმენდად გამოიყენებოდა.

რუსეთში ცხვირსახოცი პეტრე პირველის დროიდან ვრცელდება — ჯერ პეტერბურგის სამეფო კარზე — და წარმოადგენს ფუფუნების საგანს.

მდიდრულ ცხვირსახოცებს საქართველოში კნეინები ხმარობდნენ, გლეხები ატარებდნენ უბრალო ნაჭრის ცხვირსახოცებს და მით ოფლს იწმენდნენ მუშაობის დროს. გლეხი ცხვირსახოცში ინახავდა ბატონის მიერ მიცემულ ულვაშის ღერს, როგორც ვითომდა ბატონის სიტყვის, ნამუსის, ნდობის საწინდარს.

თბილისში კინტოებმა შემოიღეს დიდი, ფერადი ცხვირსახოცები, რომლებსაც იკეთებდნენ წელზე. ამ ცხვირსახოცებს ისინი მოხდენილად იყენებდნენ ცეკვის დროს.

საინტერესოა ვიცოდეთ ისიც, რომ სულხან საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში ცხვირსახოცს „საცხვირო მანდილს" უწოდებს.

ს. ედიბარი

# ქშაყროჭის

(ინგილოური ლეგენდა)

ლამაზია სოფელი ელისუ, ხშირი ტყეებით არის დაფარული მისი მთა-ველი, ორმოცდაათი წყარო გადმოჩუხჩუხებს მის მიდამოებში, ამიტომაც ჰქვია ამ სოფელს „ელი-სუ", რაც აზერბაიჯანულად ორმოცდაათ წყაროს ნიშნავს.

— სამი ინგილო ქალწულის სილამაზემ გაუთქვაო სახელი წინათ ამ სოფელს, —ამბობენ სოფლის მოხუცები. — ყველა კუთხიდან მოდიოდა ხალხი თურმე მათ სანახავად და ყველა ერთხმად ამბობდა: ამ ქალწულებს მთელ ქვეყნად ბადალი არ ჰყავთო. სილამაზე ბუნებისაგან მონიჭებული მადლია, სამი ინგილო ასულის სილამაზეს იმიტომ უფრო ჰქონდა ფასი, რომ ისინი ზნეობითაც ლამაზი და სათნონი იყვნენ.

ინგილო ქალების ქებას ყური მოკრა ლეკების მთავარსარდალმა ალილბეიმ. ერთხელ, შემოდგომაზე, ქურმუხის ეკლესიის ხატობაში, სადაც ქრისტიანების გარდა თავს იყრიდნენ ლეკები და აზერბაიჯანელები, ალილბეიმ თავისი თვალით ნახა ჰერეთის ულამაზესი ქალწულები. თავბრუ დაეხვა დაღესტნელს, უნაგირზე ძლივს შეიმაგრა თავი, მთელ სხეულში რაღაც ჟრუანტელმა დაუარა და მუხლები მოჰკვეთა. როცა გონს მოვიდა, მაშინვე შეაბრუნა ცხენი, გამეტებით შემოჰკრა მათრახი და გააქროლა.

ალილბეიმ სასწრაფოდ იხმო თავისი ძმადნაფიცები: ომარი და მამუდი და უთხრა: საინგილოს სამი მზე ჩვენი ცხოვრების მანათობლად უნდა წამოვიყვანოთო...

ქალებმა მაშვლის პირით მტკიცე უარი შეუთვალეს მუსულმან საქმროებს — უმალ სიკვდილს ვირჩევთ, ვიდრე ქრისტეს რჯულს ვუღალატებთო. მაგრამ კარგად იცოდნენ, რომ უარით ვერას გახდებოდნენ, ალილბეი, ნებით თუ არა, ძალით მაინც წაიყვანდა მათ, ამიტომ გადასწყვიტეს დამალულიყვნენ და ცოცხალი თავით არ დანებდებოდნენ ურჯულოებს. იმავე საღამოს ცხენებს შემოას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოშკი

ხდნენ და სოფელ შოთავარში*) ერთი მონადირის ოჯახს შეაფარეს თავი.

...როცა ცას მტრედისფერი გადაეკრა, ქალებმა მონადირის თანხლებით შოთავარი დასტოვეს, წუქეთისაკენ აიღეს გეზი და სოფელ სიღნარში ყუმის დედათა მონასტერს მიადგნენ. მონადირემ ქალები მონასტრის საიდუმლო გვირაბში შეიყვანა.

მალე მიაგნო მათ კვალს ალილბეიმ, ხელში ჩაიგდებდა კიდეც, რომ მონადირეს არ ემარჯვა და საიდუმლო ბილიკით არ გაეპარებინა ქალწულები ზაქათალისაკენ. ყარყაის მთაზე აიყვანა ისინი. იქ ეგულებოდა რკინის კარებით საიმედოდ ჩაკეტილი თამარ მეფის ყოფილი თავშესაფარი. მაგრამ აქაც მიაგნო განრისხებულმა ალილბეიმ ლტოლვილებს. ქალები წამოიყვანა, გვერდში ამოიყენა თავისი ძმადნაფიცები და დობილებს მიმართა:

— აბა, შემოგვხედეთ, განა ცუდი ვაჟკაცები ვართო? — მაშინ წინ წამოდგა ერთ-ერთი ქალიშვილი:

— როგორიც არ უნდა იყოთ, ჩვენი სამშობლოსა და რჯულის მტრები ხართ და ჩვენი ქმრები ვერ გახდებითო.

რაკი ტკბილი სიტყვით ვერაფერს გახდა, ალილბეი ქალებს სიკვდილით დაემუქრა, დობილებმა წყნარად დახარეს თავი და უთხრეს:

— ბედნიერია ის, ვინც სამშობლოსათვის მოკვდება, რჯულის ღალატსა და თქვენს ცოლობას სიკვდილი გვირჩევნიაო.

იმ დროს სოფელ ელისუსთან ხუთსართულიანი კოშკი შენდებოდა. ალილბეიმ ბრძანა; სამივე ცოცხლად ჩაემარხათ ამ კოშკში.

გულქვა ალილბეიმ მათი უკანასკნელი სურვილი შეასრულა:

იმ კედელში ჩამარხა, რომელიც საქართველოს გადმოჰყურებდა.

მას შემდეგ ამ კოშკს ინგილოები „ეშაფოთის კოშკს“ უწოდებენ.

ჩაწერა **ნუნუ მესხმა.**



მხატვარი ლ. შენგელია

---

საინგილოში გავრცელებულია თქმულება, რომ ამ სოფელში ცხოვრობდა რუების მთავარი შოთა, კაცი ჭკვიანი, დიდად განათლებული და მწიგნობარი. მასთან რჩევისათვის მუსულმანებიც კი მიდიოდნენ. სოფელში შესულნი, იკითხავდნენ: „შოთა ვარ“, რაც თათრულად ნიშნავს: „შოთა არის“? ამიტომ ამ სოფელს ხალხმა „შოთავარი“ შეარქვა, თვით შოთას კი რუსთაველიო.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

# ახალდაქორწინებულნი

**საბჭოთა კავშირში სხვა ქვეყნებთან შედარებით გაცილებით მეტია ქორწინება — 12,2 ყოველ ათას მოსახლეზე.**

**აშშ-ში ყოველ ათას მოსახლეზე საშუალოდ 8,5 ქორწინება მოდის, ინგლისში — 7,5, საფრანგეთში — 7,1, ნორვეგიაში — 6,5, ხოლო განქორწინების შემთხვევები ჩვენში ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ამერიკაში.**

**ეს ციფრები ბევრ რამეზე მეტყველებენ: ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მაღალ დონეზეც, ცხოვრების მტკიცე საფუძვლებზეც და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების სტილზე.**

**ზნეობრივი სიფაქიზე, მაღალი მორალური თვისებები საბჭოთა ახალგაზრდების დამახასიათებელი ნიშანია. მათ ყველა პირობა აქვთ შექმნან კარგი ოჯახი. სოციალისტურმა წყობილებამ გაანთავისუფლა ქალი და კაცი სიყალბისაგან, რომელიც ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ წარმოშვა, გაანთავისუფლა ურთიერთ მატერიალური დამოკიდებულებისაგან. ჩვენთან დიდი ხანია არ არსებობს უმუშევრობა, რომელიც ქმნის ხვალინდელი დღის შიშს. ადამიანის წინ გადაშლილია ფართო პერსპექტივები, მან იცის, რომ თავისი შრომით და ენერგიით შეუძლია მიაღწიოს ყოველივეს, რასაც მოისურვებს.**

**საბჭოთა სახელმწიფო დიდ მზრუნველობას იჩენს ოჯახის განმტკიცების, დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისათვის. ქორწინების სასახლეები, მაღაზიები ახალდაქორწინებულთათვის — ყველაფერი ეს ამ კეთილი, გულწრფელი მზრუნველობის გამოხატულებაა.**

**და მაინც მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ცოლქმრის ცხოვრებაში ზოგჯერ არის მომენტები, როდესაც მათ სჭირდებათ უფროსი მეგობრის, გამოცდილი ექიმის რჩევა.**

**რედაქცია იღებს ბევრ წერილს, რომლებშიც ახალდაქორწინებულნი გვთხოვენ მივცეთ რჩევა-დარიგება, კონსულტაცია. ეს სტატია პასუხია ამ წერილებზე.**

გინახავთ ქუჩაში ასეთი სურათი? მოდიან ახალგაზრდა ვაჟი და ქალიშვილი თაიგულით ხელში, ორივე საზეიმოდ გამოწყობილი და ოდნავ დარცხვენილი, მოდიან თანატოლებით გარშემორტყმულნი. ერთს გიტარა მოაქვს, ან აკორდეონი, მეორეს ბაფთებით შეკრული რაღაც კოლოფები. მოდიან მხიარულად, სიცილ-კისკისით.

— მმაჩიდან მოდიან, — გაიფიქრებთ თქვენ, — ახალდაქორწინებულები არიან. — შეჩერდებით, თვალს გააყოლებთ, ერთი წუთით წარმოიდგენთ მათ დაუოკებელ სიხარულს და გულში ბედნიერებას უსურვებთ.

თუ თქვენ ექიმი ან ფსიქოლოგი ხართ, ე. ი. სპეციალისტი, სამუშაოს ხასიათით ადამიანის ბედთან დაკავშირებული, ანდა უბრალოდ ადამიანი, ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებული, შეჰხარით მათ და მაინც ეჭვის გრძნობა გიპყრობთ: — შეძლებენ კი ისინი შეინარჩუნონ ბედნიერება? ხომ არ აურ-დაურევენ? გამოუსწორებელ შეცდომებს ხომ არ ჩაიდენენ?

ქორწინებით ხომ ახალ, უმეტეს შემთხვევაში ბედნიერ, ცხოვრებას იწყებს ადამიანი, თავისი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრს, მეგობარს იძენს, სიყვარულით შეერთებული ორი ადამიანისათვის უფრო შესაგრძნობია სიხარული, უფრო იოლი გადასატანია მწუხარება. ერთმანეთის დახმარებით ორი ახალგაზრდა უფრო ადვილად აღწევს მიზანს, უფრო იოლად გადაწყვეტს ამა თუ იმ სასიცოცხლო ამოცანებს: მიიღოს განათლება, დაეუფლოს ამა თუ იმ ხელობას და სხვა.

მაგრამ ყოველთვის როდია ურთიერთგაგება! განა ყოველთვის გრძნობს ცოლ-ქმარი იმ შინაგან მოთხოვნილებას, რომ ერთად, შეთანხმებულად აშენონ ცხოვრება, იმოქმედონ ურთიერთ ინტერესებით, დაუთმონ ერთმანეთს? როდესაც ორი ადამიანის ბედი უკავშირდება ერთმანეთს, ჩნდება მესამეც — ბავშვი. მზად არიან კი ახალგაზრდა მშობლები პასუხისმგებლობით მოეკიდონ ბავშვის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას, შეუძლიათ კი შეუქმნან მას საჭირო პირობები? არიან კი ისე მომზადებული, რომ აღზარდონ თავისი ქვეყნის ახალი, პატარა მოქალაქე?

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი ოჯახური უსიამოვნება, აყალ-მაყალი და განქორწინება სწორედ ცოლ-ქმრის ერთად ცხოვრების პირველ წლებში ხდება.

ზოგჯერ პირდაპირ საოცრად გეჩვენება: სულ ცოტა ხნის წინ ვაჟი და ქალი ერთმანეთისადმი ასეთ სინაზეს იჩენდნენ, ირწმუნებოდნენ, რომ ერთი დღეც კი არ შეუძლიათ გაძლონ უერთმანეთოდ, აი ახლა, არა თუ შეყვარებულები და მეგობრები არიან ისინი, არამედ აღსავსენი არიან ერთმანეთისადმი მტრული და შეურაცხმყოფელი გრძნობით.

რატომ ხდება ასე? ზოგჯერ ამბობენ: ახალგაზრდობის ბრალიაო. ახალგაზრდა ადამიანის ემოციები მართლაც უფრო ძლიერია, მშფოთვარე და თავშეუკავებელი, ვიდრე მოგვიანებულ ასაკში. სწორედ ამაშია ახალგაზრდობის განუმეორებელი სილამაზე. შევინარჩუნოთ ძალა ამ ახალგაზრდული გრძნობისა, არ დავაწვრილმანოთ, არ დავაჭკნოთ იგი, მთელი სიცოცხლის მანძილზე ვატაროთ პირველი სიყვარული — აი საითკენ უნდა ვისწრაფოდეთ.

მაგრამ განა იყო სიყვარული იქ, სადაც იგი ასე ადვილად გაქრა? რა თქმა უნდა არა!

როდესაც ფიზიკური სიახლოვე გახდება ქორწინების არა ბუნებრივ შედეგად, არამედ მის ერთადერთ მიზნად, მაშინ გულგრილობა გარდაუვალია, მაშინ ადამიანები მთელი სიცხადით ხედავენ ერთმანეთის იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც შეუმჩნეველი იყო პირველი გატაცებისას, მაშინ მჟღავნდება მიდრეკილებათა და შეხედულებათა სხვადასხვაობა, აუტანელი ხდება ერთად ცხოვრება და თავის გასამართლებლად გაისმის ცნობილი ფრაზები: „ხასიათით ვერ შევეწყვეთო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის თუ არა ეს მოსაზრება ნამდვილად მართებული? ადამიანის ხასიათი არ არის რაღაც თანდაყოლილი, გაყინული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული. გარემო პირობების, საყოფაცხოვრებო მდგომარეობის, კოლექტივის გავლენით ხასიათი მთელი ცხოვრების მანძილზე იხვეწება. მით უმეტეს იგი უფრო ადვილად იცვლება ახალგაზრდობის წლებში.

სინამდვილეში სხვადასხვა ხასიათი არ არის ხელშემშლელი სიყვარულისათვის. პირიქით, დიდ სიამოვნებას განიცდის ის, ვინც შესძლებს არამარტო გამოავლინოს ადამიანში მისი საუკეთესო თვისებები და ნიჭი, არამედ გამოასწოროს ცუდი მხარეები, გახადოს იგი უკეთესი, უფრო სუფთა და სულიერად მდიდარი.

ხომ შეიძლება ერთის სიუხეშე მეორეს სირბილემ შეანელოს. ენერგია და ჰასიურობა, თავშეუკავებლობა და სიდინჯე, მფლანგველობა და ყაირათიანობა — ყველა ეს თვისება შეიძლება შესანიშნავად შეეხამოს ერთმანეთს სწორედ ოჯახში. დაქორწინების შემდეგ ადამიანებს უფრო ადვილად შეუძლიათ გამოასწორონ თავისი ხასიათის ნაკლოვანი მხარეები, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთმანეთს პატივს სცემენ.

როგორ შეიძლება შეამოწმო შენი სიყვარულის ძალა და შენი არჩევანის სისწორე? რა თქმა უნდა, აქ ვერავითარი რეცეპტი ვერ გიშველით. ზოგჯერ ერთმა დღემ, ერთმა საქციელმა შეიძლება მთლიანად გახსნას ადამიანის შინაგანი ბუნება, ზოგჯერ კი საამისოდ წლებია საჭირო. ერთი კი დანამდვილებით უნდა ითქვას: აჩქარება ასეთ დიდმნიშვნელოვან სასიცოცხლო გადაწყვეტილების მიღების საქმეში არა ღირს.

საბჭოთა კანონმდებლობით, ქორწინება დაშვებულია 18 წლის ასაკიდან. ეს ის მინიმალური ასაკია, როდესაც შეიძლება დასრულდეს ადამიანის ფიზიკური განვითარება.

უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება ქორწინების ამ ასაკობრივი ზღვარის გადიდების შესახებ. ჩვენის აზრით ეს არ წარმოადგენს აუცილებლობას. მაგრამ არ აკრძალო, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს რეკომენდაცია მისცე. ხოლო ასეთი ქორწინებისათვის რეკომენდაციის მიცემაც არ არის საჭირო. ვინაიდან ამ ასაკში არც ქალიშვილის და მითუმეტეს არც ვაჟის ფიზიკური განვითარება არ არის დასრულებული. ეს პროცესი გრძელდება 19-22 წლამდე. ამ პერიოდში მაგრდება კუნთები, სრულყოფილი ხდება გულსისხლძარღვთა, ნერვული სისტემის და სასუნთქი ორგანოების მოქმედება.

20-22 წლის ასაკში უფრო ჩამოყალიბებულია თვით ადამიანის პიროვნებაც — ახალგაზრდას უკვე მიღებული აქვს განათლება, დაუფლებულია პროფესიას და მოპოვებული აქვს თავისი ადგილი საერთო საზოგადოებრივ შრომაში. სწორედ ის დრო, როდესაც ხდება ფიზიკური და სოციალური „სიმწიფის“ შერწყმა ერთმანეთთან, ყველაზე მიზანშეწონილია ოჯახის შესაქმნელად. ჩვენს ქვეყანაში ქალიშვილები უმეტესად 20-22 წლის ასაკში ქორწინდებიან, ვაჟები კი — 22-24 წლის ასაკში.

ზოგჯერ ძლიერ აჩქარებულ, მოუფიქრებელ ქორწინებას ახალგაზრდა იმით ამართლებს, რომ ეშინია თავშეკავებამ ცუდად არ იმოქმედოს მის ჯანმრთელობაზე.

ეს აზრი მეტად მცდარია, არ არსებობს დაავადება ან რაიმე დარღვევა ორგანიზმში, რომელიც ამ მიზეზით იყოს გამოწვეული.

პირიქით, ადრე დაწყებული უწესო სქესობრივი ცხოვრება ნამდვილად იწვევს ადამიანის ფიზიკურ და ნერვიულ დაუძლურებას, დაძაბუნებას, გამოფიტვას.

საექიმო გამოცდილება მკაცრად აფრთხილებს ახალგაზრდობას — თავი შეიკავონ შემთხვევითი კავშირისა და ეპიზოდური შეხვედრებისაგან, რასაც შეიძლება მოჰყვეს დიდი უბედურება, ჯანმრთელობის შერყევა, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ადამიანის მომავალს.

როდის უნდა დაიწყოს სქესობრივი ცხოვრება? კითხვაზე შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა: რასაკვირველია ქორწინების შემდეგ. თავშეკავება, თუნდაც ხანგრძლივი, არ არის საზიანო, არც ქალისათვის და არც კაცისათვის. უდიდესი რუსი ნევროპათოლოგი ვ. მ. ბეხტერევი ამას სასარგებლოდაც კი თვლიდა იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი სხვა საინტერესო, შემოქმედებით შრომით ან სპორტითაა დაკავებული.

შემთხვევითი არაა, რომ სქესობრივი თავაშვებულება თან სდევს უსაქმურობას და მუქთახორულ ცხოვრებას.

სქესობრივ მიდრეკილებას დიდი ადგილი უკავია ადამიანის გრძნობათა სფეროში. მაგრამ მიუხედავად მისი ბუნებრივობისა და ფიზიოლოგიური გამართლებისა, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს რაღაც დაუმორჩილებელი, სტიქიური ინსტიქტია. რაც უფრო მდიდარია ადამიანის სულიერი სამყარო, რაც უფრო ფართოა მისი ინტერესები, მით უფრო ადვილად შეუძლია მას ამ გრძნობის დამორჩილება. საქმე მარტო იმაში როდია, რომ ასეთ ადამიანს მორალური და ეთიკური ნორმები აკავებს შემთხვევითი კავშირებისაგან, მას არც კი უჩნდება არაჯანსაღი მიდრეკილებანი, რომლებსაც იწვევენ მხოლოდ გონებრივი შეზღუდულობა და უსაქმურობა. როცა ისეთი ადამიანები ქორწინდებიან, რომლებმაც იციან შრომისა და კეთილი ადამიანური ურთიერთდამოკიდებულების ფასი, ადამიანები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ღრმა გრძნობით და ურთიერთპატივისცემით, მათი ცხოვრება ადვილად ეწყობა. ასეთ ცოლ-ქმარს შორის არ არსებობს წვრილმანი კინკლაობა, ეჭვიანობა. კამათი; აზრთა სხვადასხვაობა არ იწვევს განხეთქილებას, მათ აზრადაც არ მოსდით რომ დაშორდნენ ერთმანეთს.

მაგრამ გარდა შეხედულებათა და ინტერესების ერთიანობისა, გარდა სულიერი სიახლოვისა, არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოჯახურ ცხოვრებაში: ეს არის ტემპერამენტისა და ფიზიკური ლტოლვის მსგავსება.

ფიცხ და ტემპერამენტიან ახალგაზრდა ქმარს ხშირად გულს უტეხს სიცივე ცოლისა, რომელიც ადრე მას ნაზი და ალერსიანი ეჩვენებოდა. არის თუ არა ქალი დამნაშავე? ხშირ შემთხვევაში არა! აქ დამნაშავეა ქმარი, რომელიც სათანადოდ ვერ მიუდგა მას, ვერ გამოიჩინა საჭირო ტაქტი, ყურადღება.

ორგანიზმის სხვადასხვა ფიზიოლოგიური თავისებურების, განსხვავებული სულიერი წყობის, ნერვული სისტემის ნაზი, ოდნავ შესამჩნევი სხვაობის გამო კაცი და ქალი სხვადასხვაგვარად ეკიდება სქესობრივ აქტს.

ქალიშვილს, ბუნებრივია, ვაჟთან შედარებით ახასიათებს მორცხვობა. მიუხედავად სრული ფიზიკური განვითარებისა და მომავალი ქმრისადმი დიდი სიყვარულისა, ქალიშვილმა ზოგჯერ არც კი იცის სქესობრივი გრძნობა. ეს გრძნობა მასში ვითარდება თანდათან, მხოლოდ ქორწინების პირველ წელს, ზოგჯერ მშობიარობის შემდეგაც.

ქორწინების პირველი ღამე დიდ როლს ასრულებს ამ გრძნობის ჩამოყალიბებაში. ზოგჯერ ახალგაზრდა ქმარს ჰგონია, რომ მისი მამაკაცური ღირსება შეილახება, თუ ერთბაშად არ მიაღწია სიახლოვეს. ამ მისწრაფების მისაღწევად ზოგჯერ იგი უხეშობასაც კი არ ერიდება.

გადატანილი შეურაცყოფა, შიში, ტკივილი ღრმა კვალს სტოვებს ქალის ფსიქოლოგიაზე. ნებით თუ უნებლიეთ ეს შთაბეჭდილებები თავის დაღს ასვამს ქალის მთელ შემდეგ სქესობრივ ცხოვრებას. იწვევს ზიზღს, გულგრილობას და ზოგჯერ ფარულ მტრულ გრძნობასაც კი ქმრისადმი.

რა თქმა უნდა, ტაქტის გრძნობა, ფრთხილი და ნაზი დამოკიდებულება მოეთხოვება ორივე მხარეს. ღელვა, სხვადასხვაგვარი საშიშროება, არახელსაყრელი მდგომარეობა— ყოველივე ეს გავლენას ახდენს მამაკაცის შესაძლებლობაზეც. ასეთ შემთხვევით სისუსტეს არ უნდა მიეცეს მნიშვნელობა. ახალგაზრდა ქალი ჭკვიანად მოიქცევა თუ არ შეიმჩნევს ამას და, რა თქმა უნდა, არ გახდის მსჯელობის საგნად. გაივლის დრო, ნერვიულობა გაქრება და ყველაფერი რიგზე იქნება. ტემპერამენტი, ისევე როგორც ხასიათი, არ არის რაღაც უცვლელი, გაყინული. შეთვისება და ერთმანეთისადმი ყურადღება ხელს უწყობს მის განვითარებას, აქრობს ხასიათების სხვაობას.

ძველად ზოგიერთ ხალხში არსებობდა ასეთი წესი: ქორწილში სიძეს წყლის გარდა არაფერი არ უნდა დაელია. შეუძლებელია არ დავინახოთ ამ რამდენადმე ასკეტურ ადათში სიბრძნის მარცვალი. ალკოჰოლი არამარტო გონებაზე მოქმედებს, იგი სწრაფად იწოვება სისხლში, აღწევს ყველა უჯრედს და ქსოვილს, მათ შორის სქესობრივ უჯრედსაც. ასეთი მოწამლული უჯრედისაგან განვითარებული ნაყოფი შეიძლება არა-

ეროვნული

სრულყოფილი იყოს. ცოლ-ქმარს ეს მუდამ უნდა ახსოვდეს.

ზოგჯერ ახალგაზრდების ცხოვრება ისე ეწყობა, რომ მათ პირველ ხანებში არ უნდათ იყოლიონ ბავშვი. ბავშვის ჩასახვის შიში ცოლქმარს შორის იწვევს ნერვიულობას, აღიზიანებს ორივეს.

ახალგაზრდა ქალი ვერ ბედავს, რომ მიმართოს გინეკოლოგს და ამხანაგების, მეზობლების სახიფათო რჩევა-დარიგებას აჰყვება. ჩასახვის წინააღმდეგ საკმაოდ ეფექტიანი და უვნებელი საშუალების მიცემა კი მხოლოდ ექიმს შეუძლია.

ზოგჯერ ცოლ-ქმარს სამედიცინო აბორტის გაკეთების იმედი აქვთ — ეს ხომ აკრძალული არ არის. მაგრამ ეს მაინც იძულებითი, უკანასკნელი ზომაა; აბორტი, განსაკუთრებით პირველი, დიდ ზიანს აყენებს ქალის ჯანმრთელობას, მან შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა გართულება და ბოლოს უშვილობა. ასე რომ, დაუფიქრებლობა საბოლოოდ დიდ ტრაგედიას იწვევს.

თუ პირველად ზოგიერთი ცოლ-ქმარი ამას ვერ გრძნობს, შემდეგში ეს აუცილებლად ქმნის მათ შორის უკმაყოფილებას, იწვევს უთანხმოებას, და რაოდენ მძიმეა, თუ ამ შეცდომის გამოსწორება უკვე დაგვიანებულია.

ქორწინების შემდეგ ქალისთვის აუცილებელია მეან-გინეკოლოგის რჩევა, საჭიროა ამისათვის მან ქალთა კონსულტაციას მიმართოს. გათხოვილმა ქალმა პირად ჰიგიენას უფრო მეტად უნდა მიაქციოს ყურადღება, სხვათა შორის, სხეულის სისუფთავეზე ზრუნვა აუცილებელია მამაკაცისთვისაც.

არსებობს თუ არა სქესობრივი ცხოვრების ინტენსიურობის ნორმები? რასაკვირველია არა. ან უფრო სწორად: ეს ნორმები იმდენად ინდივიდუალურია, რამდენადაც დამოკიდებულია ტემპერამენტის თავისებურებაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და განწყობილებაზე, ამიტომ ყოველი წყვილი თვითონვე ადგენს ამ ნორმებს. ყოველ შემთხვევაში, უნდა მოვერიდოთ ზედმეტ სქესობრივ კავშირს. ეს ადამიანში იწვევს საერთო ტონუსის დაქვეითებას და მოდუნებას.

მენსტრუაციის პერიოდში დაუშვებელია სქესობრივი კავშირი, არა მარტო ესთეტიკური და ჰიგიენური თვალსაზრისით, არამედ ქალის ჯანმრთელობის დაცვის მიზნითაც, ასევე აუცილებელია თავის შეკავება ორსულობის ბოლო თვეებში და მშობიარობიდან ორი თვის მანძილზე.

ახალგაზრდა დედა ფიზიკურად გადატვირთულია: ბავშვის მოვლა, მისთვის ღამღამობით ადგომა, კვება — ყველაფერი ეს მისგან მოითხოვს დიდ ენერგიას. ალსავსე მისთვის ახალი შთაბეჭდილებებითა და განცდებით, ჩვილზე ზრუნვით, ხშირად ძალიან დაქანცული, ქალი უნებურად ანელებს ქმრისადმი ყურადღებას.

თუ ქმარი გაიგებს ცოლის მდგომარეობას, შეეცდება მიეხმაროს მას, გაინაწილებს მის შრომას და ღელვას, ცოლ-ქმარს შორის ჩამოწოლილი ეს წუთიერი ჩრდილი უკვალოდ გაქრება. ერთობლივი პასუხისმგებლობის გრძნობა შვილისადმი, ერთობლივი ზრუნვა უფრო მტკიცედ დააკავშირებს ცოლ-ქმარს, ურღვევს გახდის ახალ ოჯახს.

„ახალდაქორწინებულები"... ამ სიტყვის წარმოთქმისას ჩვენ წარმოვიდგენთ ერთმანეთის მოსიყვარულე, ფრთაშესხმულ, სიხარულით სავსე ადამიანებს. ხანგრძლივი წლების მანძილზე ამ გრძნობის უცვლელად შენარჩუნება მართლაც რომ დიდი ბედნიერებაა!

**ი. იანუშევსკი,**

რსფსრ დამსახურებული ექიმი.

# ნორმალური კანის მოვლა

სახის კანზე მუდმივად ახდენს გავლენას გარეგანი ატმოსფერო; ზაფხულში კანზე მოქმედებენ მზის სხივები, ქარი, მტვერი; შემოდგომაზე — ქარი და წვიმა, ზამთარში — ქარი და ყინვა.

უმრავლესობას 20 წლის ასაკიდან 40 წლამდე აქვს ნორმალური კანი—სწორი, ელასტიური, მქრქალი ფერის; ცხიმის საკმაო რაოდენობით.

ყოველივე ეს აიხსნება ნერვული სისტემისა და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ნორმალური მოქმედებით.

კანის ჯანმრთელობისათვის უპირველესად საჭიროა სხეულის საერთო ვარჯიშთან ერთად სახის მასაჟი, რაც აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და კანის კვებას, სწევს კუნთების ტონუსს.

თუ დაიცავთ სახის მოვლის უბრალო წესებს, ამით შეგიძლიათ შეინარჩუნოთ კანის ნორმალური მდგომარეობა: ყოველ საღამოს გულმოდგინედ გაიწმინდეთ სახე მტვრის, ჭუჭყისა და კანის გამონაყოფისაგან ან დაიბანეთ.

პირის დასაბანად იხმარეთ ხელის საპონი და გრილი წყალი. ასეთი წყალი უნარჩუნებს სახის კანს ელასტიურობას, სწევს ტონუსს და სახეს აძლევს საღ შესახედაობას.

სახის დაბანას არ გირჩევთ ხამი წყლით, ვინაიდან იგი შეიცავს დიდი რაოდენობით მარილებს, ეს იწვევს კანის გაშრობას და აქერცვლას.

შესარბილებლად წყალი გადაადუღეთ, სოდა ან ბორაკი დაუმატეთ (1 ლიტრ წყალზე $1/2$ ჩაის კოვზი).

სახის კანი ცუდად იტანს საპონს, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით ტუტეს, უმჯობესია იხმაროთ გაცხიმოვნებული საპონი: „საბავშვო", „ფლორა" და „კოსმეტიკური".

საპნით პირი დაიბანეთ დღეში ერთხელ და გაიმშრალეთ ნაზად, რბილი პირსახოცით. დაბანის დროს კანი კარგავს გამოყოფილი ცხიმის რაოდენობას, ამისათვის საჭიროა პირის დაბანის შემდეგ იხმაროთ მკვებავი კრემი. იგი მოამზადეთ შემდეგი შემადგენლობით: ლანოლინი 5.0; თაფლის სანთელი 2,5; სპერმაცეტი 7,5; ატმის კურკის ზეთი 10,0; წყალი 10,0.

ზოგ შემთხვევაში ნორმალური კანი ვერ იტანს საპონს, რომელიც იწვევს კანის გაღიზიანებას (კანის მოწევის შეგრძნობა, წვა. წითელი ლაქები და აქერცვლა), ამისათვის საჭიროა ყოველდღიურად პირი დაიბანოთ ნუშის ან პურის ქატოთი და იხმაროთ პირის საწმენდად სხვადასხვა სითხეები:

1) ოდეკალონი 30,0; გლიცერინი 5,0: სუფრის ძმარი 10,0; წყალი 55,0.

2) ბორაკი 1,5; გლიცერინი 6,5; ოდეკალონი ან სპირტი 30,0; წყალი 62,0;

3) შაბი 2,0; გლიცერინი 5,0, წყალი 93,0;

4) კიტრის ნაყენი.

5) ლიმონის წვენი.

კიტრის ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: აილებთ კიტრს, დაფხეკავთ, მიღებულ მასას ჩაყრით ბოთლში და დაუმატებთ თანაბარი რაოდენობით პურის არაყს, დადგამთ, 2 კვირის შემდეგ გადმოსწურავთ და ამ სითხეს დაუმატებთ წყალს თანაბარი რაოდენობით. ყოველ 100,0 კიტრის ნაყენს, დაუმატეთ 5,0 გლიცერინი.

ლიმონის წვენი ასე მოამზადეთ: დაწურეთ ერთი ლიმონი, დაუმატეთ 2 ჩაის კოვზი გლიცერინი და 100,0 გამოხდილი ან ადუღებული წყალი.

ეს სითხეები უნდა წაისვათ სახეზე ბამბის ტამპონით, წრიული მოძრაობით, ისე, რომ სახის კანი არ დაჭიმოთ.

დილით აუცილებელია შეისხათ სახეზე ცივი წყალი, რომელიც სახეს აფხიზლებს, კანს ამაგრებს და აუმჯობესებს სახის ფერს.

ქუჩაში გამოსვლის წინ სასურველია წაისვათ რომელიმე დამცველი კრემი და გადაისვათ პუდრი მცირე რაოდენობით. კრემისა და პუდრის („წითელი ყაყაჩო") თხელი ფენა წარმოშობს უნაზეს საფარს, რომელიც იცავს კანს გარეშე ფაქტორებისაგან.

მზა კრემებიდან იხმარეთ: „წითელი ყაყაჩო", „რიგა", „მანონი", „მზის საწინააღმდეგო" და „ვიქტორია".

ექიმი-კოსმეტოლოგი

**ვალიდა დოლიძე-ცხოვრებაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორი ვარცხნილობა მოგვიხდება



1

2

3

4

5

მრგვალ სახეს მაღალი ვარცხნილო-ბა შვენის (ნახ. 1);

უკან გადავარცხნილი თმა ცხვირს აგრძელებს (ნახ. 2);

ზედმეტად მაღალ შუბლს ჩამოშლილი თმა უხდება (ნახ. 3);

პაჭუა ცხვირს უკან გადავარცხნილი თმა დაშვენდება (ნახ. 4);

ჩამოშლილი კულულები ოდნავ ფარავს ფართო ლოყებს (ნახ. 5).

— როგორი ვარცხნილობა მოგვიხდება? - ხშირად გვეკითხებიან ჩვენი მკითხველები.

რა ვურჩიოთ? საკუთარი გარეგნობის მიუკერძოებელი შეფასება და სარკე მათ ამ შემთხვევაში გაცილებით უკეთ დაეხმარებოდა, ვიდრე ჩვენი რჩევები.

რაც შეეხება იმას, თუ როგორი ვარცხნილობაა ახლა მოდაში, ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. უფრო ადვილია ვთქვათ— რა არ არის მოდაში! ეს გახლავთ წვრილად დახუჭუჭებული პერმანენტი.

თუ თქვენ სწორნაკვთოვანი სახე გაქვთ, შეგიძლიათ თმა ყოველნაირად დაივარცხნოთ: გაიყოთ შუაში, გვერდზე ან სულაც არ გაიყოთ; ატაროთ წინ ჩამოვარცხნილი ჩოლკა, გრძელი კულულები, ან თმა სულაც მოკლედ შეიკრიჭოთ.

არაპროპორციული სახის ქალებს მეტი საფიქრალი ექნებათ. ვარცხნილობამ უნდა დაფაროს მათი სახისა და თავის ფორმის ნაკლოვანებები. არსებობს სახეები: მრგვალი, კვადრატული, მოგრძო და მსხლისებური მოყვანილობისაც კი. ამ შემთხვევაში კარგ პარიკმახერს უნდა შეეძლოს შეურჩიოს ქალს შესაფერი ვარცხნილობა. არ არის აუცილებელი სულ უკანასკნელ მოდაზე დავივარცხნოთ თმა, მაგრამ აუცილებელია ვარცხნილობა ამშვენებდეს და აახალგაზრდავებდეს სახეს.

მოგრძო სახეს არ უხდება მაღლა ავარცხნილი თმა ან გრძელი, მხრებზე დაყრილი კულულები. თავის წინა ნაწილი (შუბლის ზემოთ) ბრტყელი უნდა დარჩეს. მაღალ შუბლს ჩოლკა მოუხდება.

გვერდზე დახვეული თმა ყურებს ფარავს და სახეს აფართოებს, ამიტომ ის ვიწრო სახიან ქალებს მოუხდება.

თუ სამკუთხედი ფორმის სახე გაქვთ (ე. ი. შუბლი განიერი, ნიკაპი კი ძალიან ვიწრო), ასეთნაირი ვარცხნილობა მოგიხდებათ: ფართო შუბლზე ჩამოიშალეთ მოკლე ხვეული კულულები ან ჩოლკა, ეს მოკლე კულულები შუა ყურს უნდა სწვდებოდეს. ხოლო უფრო ქვევით და უკან კეფაზე თმა მსხვილად დატალღული უნდა იყოს, ბეჭებამდე და გაშლილი. ეს თით[illegible] სიგანეს მატებს ვიწრო ნიკაპს.

კვადრატული და მრგვალი სახე ზოგჯერ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს სახე სიგანეში უფრო დიდია, ვიდრე სიგრძეში. ასეთ სახეს რომ უფრო მეტი ქალურობა და სინაზე მიეცეს, რომ შერბილდეს უხეში ნაკვთები, დაფიქრებით უნდა განვალაგოთ თმის ხვეულები. თმა შუბლიდან მაღლა უნდა ავივარცხნოთ. საფეთქლებზე და ყურებთან კი გადავიტკიცოთ და ყურები გამოვიჩინოთ (რა თქმა უნდა თუ ლამაზი-პატარა და კარგი ფორმის ყურები გვაქვს).

თუ სახეს კონუსის ფორმა აქვს, ე. ი. შუბლი ვიწროა და ნიკაპი განიერი, ასეთ სახეს მოუხდება აპენტილი კულულები შუბლის ზემოთ და საფეთქლებთან. ყურებს ქვევით კულულები აღარ უნდა იყოს და არც გრძელი, გაშლილი თმის ტარება იქნება მიზანშეწონილი.

პროფილში სახე კიდევ სხვაგვარად გამოიყურება. განსაკუთრებით თვალში საცემია დაქანებული შუბლი, წაწვეტილი ნიკაპი, გრძელი ან ნოლა ცხვირი.

სახის ეს ნაკლი ვარცხნილობამ უნდა დაფაროს. შუბლზე ჩამოშლილი კულულები ან ჩოლკა შეუმჩნეველს გახდის შუბლის დაქანებას. ვიწრო ნიკაპი ფართო გამოჩნდება, თუ თმას ყურებს ქვევით მსხვილად დავიხვევთ.

ძალიან მაღალი შუბლი ისევე არღვევს სახის პროპორციას, როგორც ძალიან დაბალი. შუბლზე ჩამოვარცხნილი თმა ან კულულები დაფარავს შუბლის ნაწილს. დაბალ შუბლს კი პირიქით — მაღლა ავარცხნილი თმა უხდება — ეს მაღალი შუბლის ილუზიას შექმნის.

როგორი ვარცხნილობა დასჭირდება გრძელ ცხვირიან სახეს. უნდა დავიმახსოვროთ ერთი რამ: გრძელ ცხვირს პროფილში კიდევ უფრო აგრძელებს კეფაზე დაგრაგნილი თმა. კეფა რაც შეიძლება ბრტყელი უნდა დარჩეს.

თუ მსხვილი, დიდი ცხვირი გვაქვს შუბლზე თმა მსხვილად უნდა დავიხვიოთ, ანდა დავიტალღოთ. ასეთივე ხვეულები და ტალღები უნდა განვალაგოთ ყურებს უკანაც. ეს იქნება ერთგვარი ჩარჩო სახისათვის, რომლის ფონზე ცხვირი ისე დიდი აღარ გამოჩნდება.

ზოგი ქალი პერმანენტის დახვევის შემდეგ ერთი კვირა არ დაივარცხნის თმას, ღამე კი ბადეს იხვევს თავზე — პერმანენტი არ „გამიფუჭდესო“. სინამდვილეში, ეს ეფექტს და სილამაზეს უკარგავს ვარცხნილობას.

მოკლედ შეჭრილი თმის დასავარცხნად უნდა გვქონდეს ნეილონის ჯაგრისი და სავარცხნილი. ვარცხნილობა არ უნდა იყოს რთული, რომ თვითონ შეგვეძლოს თმის დალაგება.

თუ თმა მოკლე გვაქვს, არ უნდა ვატაროთ თმის სამაგრი. თუ სამაგრი აუცილებლად გვჭირდება, შეუმჩნევლად მაინც უნდა გავიკეთოთ.

რა ფერად შეიძლება თმის შეღებვა?

მუქი ფერი აპატარავებს სახეს, ღია ფერის თმა მუქ სახეს არ უხდება — სახის ნაკვთები უფრო მსხვილი და უხეში ჩანს.

ახლა თმას ბევრი იღებავს. მაგრამ განა ადრეულ ასაკში თმის შეღებვა კარგია? შეღებვა მხოლოდ მაშინ უნდა დავიწყოთ, როცა ჭაღარა სიბერეს გაგვახსენებს და უსიამოვნო გრძნობას მოგვგვრის.

**ფ. ტატარსკაია**

პოლონელი მხატვრის გვიდონ მიკლაშევსკის ნახატები

# ახალი წელი



აუცილებელი იყო ჩემი გაღვიძება, რაკი ახალი წელია?



მე სულაც არა ვარ ახალი წელი, მე დედას კეძებ



ეი! ძალიან დიდხანს ხომ არ ულოცავთ თქვენ ჩემს ცოლს ახალ წელს?




...და ყველაფერ კარგს გისურვებთ ახალ წელს!

გარეკანის პირველ გვერდზე—მარინა გოგლიძე-მდივანი. ფოტო გ. ოვესიანის
გარეკანის მეოთხე გვერდზე—საქორწილო კაბები. მხატვარი ლ. ავალიანი

ჩანართი დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში


რედაქტორი თ. აბაშიძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თაგაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექ. რედაქტორი ქ. დემუროვა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.I-62 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 2098 უე 03104

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონკურსი

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს საუკეთესო მოთხრობასა და მხატვრულ ნარკვევზე, რომლებშიც ასახული იქნება თანამედროვე, შვიდწლედის გმირი ქალის მხატვრული სახე. მისი სულიერი სამყარო, შემოქმედებითი შრომით აღსავსე მისი ცხოვრება, მისი აქტივობა.

კონკურსის პირობები:

მოთხრობის ან ნარკვევის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ორი ინტერვალით დაბეჭდილ 8-10 გვერდს.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია 3 პრემია;

მოთხრობისათვის:

ერთი პირველი პრემია—300 მანეთი,

ორი მეორე პრემია, თვითეული—200 მანეთი,

ორი მესამე პრემია, თვითეული—100 მანეთი.

ნარკვევისათვის:

ერთი პირველი პრემია—150 მანეთი,

ორი მეორე პრემია, თვითეული—100 მანეთი,

ორი მესამე პრემია, თვითეული—50 მანეთი.

საკონკურსო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, სულხან-საბას ქუჩა № 15, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია, წარწერით: „კონკურსისათვის“.

კონკურსი დახურულია, მასალები იგზავნება დევიზით. ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი უნდა გამოიგზავნოს ცალკე კონვერტით.

გარდა იმისა, რომ კონკურსში გამარჯვებულ მოთხრობას თუ ნარკვევს მიეცემა პრემია, ავტორები, მოთხრობის ან ნარკვევის გამოქვეყნების შემდეგ, მიიღებენ ჰონორარს ჩვეულებრივი წესით.

მასალების წარმოდგენა შეიძლება 1962 წლის 1 ივლისამდე.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია

კონკურსი

6.58/55

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქორწინო კაბები









